



ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა სახელმძღვანელო

საკონსულტაციო ვერსია

ევროკავშირის სახსრებით საქართველოს
თვითმმართველობისათვის პროექტების
დაფინანსების შესაძლებლობები



წყარო: KE

ვიელკოპოლსკას საგოეოდოს მარშლის სამსახურის პროექტის „REGIO TAMAR. თვითმმართველობა დაყოფის გარეშე“ ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო

ნაშრომი: ვიელკოპოლსკას საგოეოდოს საინფორმაციო სამსახური ბრიუსელში

ბრიუსელი, 7 ნოემბერი 2008 წ.

ნაშრომის ავტორი: ანა ვასოვიჩი

ვიელკოპოლსკას საოეეოდოს საინფორმაციო სამსახური
ბრიუსელში

დირექტორი: მონიკა კაპტურსკა

ვიელკოპოლსკას საოეეოდოს მარშლის სამსახური

მისამართი: იზერის გამზირი 19, (Av.de l'Yser) ბრიუსელი 1040,
ბელგია

ტელ: +32 (0) 2 734 09 41

ფაქსი: +32 (0) 2 734 09 44

www.wielkopolska.eu

2008 წლის 7 ნოემბერი, პოზნანი

პატივცემულო ბატონებო,

მოხარული ვარ გადმოგცეთ სახელმძღვანელო „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა. ევროკავშირის სახსრებით საქართველოს თვითმმართველობისათვის პროექტების დაფინანსების შესაძლებლობები“.


წინამდებარე ნაშრომი შედგება პროექტისა „Regio-Tamar. თვითმმართველობა დაყოფის გარეშე“, რომელიც პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, პოლონეთის საზღვარგარეთის დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა.

ვიელკოპოლსკას საგოევიდოს მარშლის სამსახურის, ქალაქ თბილისის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თვითმმართველობისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კავშირის „სათმა“ (SATMA) მიერ 2008 წელს განხორციელებული პროექტი მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოს თვითმმართველობის ორგანოებს ევროკავშირის იმ ფონდებით სარგებლობაში, რომლებიც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებშია ხელმისაწვდომი. პროექტი ასევე ითვალისწინებს დახმარებას საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობების შეფასებასა და შესწავლაში, ისევე როგორც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების თვითმმართველობებსა და საქართველოს ადგილობრივ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში.

ამ სახელმძღვანელოს გადმოცემით იმ იმედით, რომ მოისურვებთ მისი შეფასების პროცესში ჩართვას. მადლიერებით მივიღებთ ყველა მნიშვნელოვან შენიშვნას, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმძღვანელოს დახვეწას.

ვიმედოვნებ რა, რომ სახელმძღვანელო წაადგება იმ შესაძლებლობების უკეთესად გამოყენებას, რასაც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა გვთავაზობს, გისურვებთ წარმატებებს ევროკავშირის იმ პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის სახსრებით თანადაფინანსდა.

პატივისცემით,



მარეკ ვოჟნიაკი
ვიელკოპოლსკას საგოევიდოს მარშალი

შინაარსი:

ცნებებისა და შემოკლებების ლექსიკონი	3
წინასიტყვაობა	7
ნაწილი I ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირში	9
ნაწილი II ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოსთვის	11
2.1 ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის ძირითადი ჩარჩოები	11
2.2 საქართველოს სამოქმედო გეგმა	12
2.3 ახალი პოლიტიკური ინიციატივები საქართველოსათვის	13
ნაწილი III ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი	16
3.1 ქვეყნის კომპონენტი	17
3.2 ტრანსსასაზღვრო კომპონენტი	18
ნაწილი IV ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის რეგიონთაშორისი კომპონენტი	20
4.1 პრიორიტეტი 1	21
4.1.1 პროგრამა TAIEX	21
4.1.2 პროგრამა SIGMA	25
4.1.3 პროგრამა TWINNING	28
4.2 პრიორიტეტი 2.	30
4.2.1 უმაღლეს სასწავლებლებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელშეწყობა	31
4.2.2 სტუდენტების გადაადგილების ხელშეწყობა	33
4.3 პრიორიტეტი 3	35
4.4 პრიორიტეტი 4	38
4.5 პრიორიტეტი 5	39
ნაწილი V ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი საქართველოსთან მიმართებით	42
5.1 ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ეროვნული კომპონენტი	42
5.2 ტრანსსასაზღვრო კომპონენტი	44
5.3 საქართველოსათვის გაწეული დახმარება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრის მიზნით	53
ნაწილი VI საქართველოსათვის ხელმისაწვდომი სხვა პროგრამები	56
6.1 არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების განვითარებისათვის (ინგლ. Non-State Actors and Local Authorities in Development)	56
6.2 დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპის ინსტრუმენტი (ინგლ. European Instrument for Democracy and Human Rights)-EIDHR	63
6.3 თანამეგობრობის პროგრამებში მონაწილეობის პრინციპები	63
წყაროების ჩამონათვალი/ List of Sources:	65
დანართი	68

ცნებებისა და შემოკლებების ლექსიკონი

ცნება/ შემოკლება	ახსნა
აუდიტი	აუდიტი არის იმ მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც მოიცავს ერთეულში მართვის სისტემებისა და კონტროლის დამოუკიდებელ კვლევას, მათ შორის, ფინანსური კონტროლის პროცედურებს, რომლის შედეგადაც ერთეულის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი სუბიექტი მოიპოვებს ამ სისტემებისა და საკონსულტაციო მოქმედებების, მათ შორის, ერთეულის ქმედითობის გაუმჯობესების მიზნით განაცხადების წარდგენის აღეკვეაწურობისა და ეფექტურობის ობიექტურ და დამოუკიდებელ შეფასებას. აუდიტს ახორციელებს ორგანიზაციის ცალკე განყოფილება, რომელიც ექვემდებარება ერთეულის ხელმძღვანელს ან გარე სუბიექტი.
ბენეფიციარი	ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული ერთეული, რომელიც ახორციელებს საზღვარგარეთის წყაროებიდან დაფინანსებულ პროექტებს, ხელშეკრულების საფუძველზე.
CBC	(ინგ. <i>Cross-Border Co-operation</i>), ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა
პროგრამული (ოპერაციული) დოკუმენტები	დოკუმენტები პროგრამების სახით, რომლებიც შემუშავდა ევროკომისიის მიერ გარკვეული სექტორის ან სფეროსთვის ევროპული ფონდების ფარგლებში წინასწარ გამოყოფილი სახსრების გაცემისათვის, საკუთრივ, განსაზღვრავენ აღნიშნული სექტორის ან სფეროს აქტუალური ანალიზის საფუძველზე სახსრების გაცემის მიზნებსა და ძირითად მიმართულებებს, კონკრეტული პროგრამების განხორციელების კრიტერიუმებსა და გზებს, განსაზღვრული დავალებების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებსა და ინსტიტუტებს, ასევე სახსრების სავარაუდო მოცულობასა და გადანაწილებას ბიუჯეტის ყველა ხელმისაწვდომი წყაროდან თანადაფინანსების გათვალისწინებით.
მოქმედებები	პროექტი ან პროექტების ჯგუფი, რომელიც შერჩეულია მოცემული ოპერაციული პროგრამის ან მისი ვალდებულებების ფარგლებში მმართველი ინსტიტუტის მიერ და დანერგულია ერთი ან რამდენიმე ბენეფიციარის მიერ, რაც იძლევა იმ პრიორიტეტული მიზნების მიღწევის საშუალებას, რომლებსაც ეს მოქმედება ეხება.
ტრანსსასაზღვრო ეფექტი	ტრანსსასაზღვრო ეფექტი არის ზემოქმედება, რომელიც: 1. ამცირებს დისპროპორციას და ათანაბრებს საზღვრის ორივე მხარეს მოსახლეობის ცხოვრების დონეს. 2. აღმოფხვრავს საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრებით გამოწვეულ სიძნელეებს. 3. ხელს უწყობს მოსახლეობის ჯგუფებს, ორგანიზაციებს, მეწარმეებს, ინსტიტუტებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სუბიექტებს შორის არსებული პარტნიორული კონტაქტების გადრმავებასა და ახალი კონტაქტების დამყარებას. 4. ხელს უწყობს მეორე ქვეყნის მოქალაქეების მიერ პარტნიორისა და მისი ენის

	გაცნობას. 5. პარტიორისათვის ხელმისაწვდომს ხდის გარემოს სასარგებლოდ კულტურული მონაპოვრის მიღებას. 6. ემსახურება გარემოს მდგომარეობისა და უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას 7. ამაღლებს სივრცული ერთიანობის დონეს. ¹
ECHO	(ინგ. <i>EC Humanitarian Office</i>), ევროგაერთიანების ჰუმანიტარული ოფისი.
EIDHR	(ინგ. <i>European Instrument for Democracy and Human Rights</i>), დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტი
ENP	(ინგ. <i>European Neighbourhood Policy</i>), <i>ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა</i>
ENPI	(ინგ. <i>European Neighbourhood and Partnership Instrument</i>) ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი
ინოვაცია	საწარმოების უნარი, შექმნან და დანერგონ ინოვაციები, ახალი და მოდერნიზებული პროდუქტის და ახალი ან სახეცვლილი ტექნოლოგიური თუ ორგანიზაციულ-ტექნიკური პროცესების დანერგვის შესაძლებლობა.
მმართველი ორგანო	საჯარო ან კერძო სუბიექტი, რომელიც პასუხისმგებელია ოპერაციული პროგრამის პრიორიტეტების ნაწილობრივ ან მთლიან განხორციელებაზე შესაბამისი შეთანხმების ან მისთვის დაკისრებული დავალებების განხორციელების დაფინანსების თაობაზე ხელშეკრულების საფუძველზე.
INTERREG	2000-2006 წლების ფინანსურ პერსპექტივაში მოქმედი ევროკავშირის ინიციატივა (2007-2013 წლებში – პროგრამა), რომელიც დაფინანსებულია ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით და რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სასაზღვრო, საერთაშორისო და რეგიონთაშორის თანამშრომლობას ევროკავშირის როგორც შიდა, ასევე გარე საზღვრებზე.
გრანტი	დაუბრუნებელი ფინანსური დახმარება პროექტის განხორციელებისათვის.
პროექტების შერჩევის კრიტერიუმები	ფორმალური და ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრული ერთობლიობა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროექტები, რათა დახმარებისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან მოიპოვონ დაფინანსება.
გასავლის კვალიფიკაცია	კრიტერიუმები, რომლებიც ეხება პროექტის განხორციელებისა და დანერგვის პროცესში გაწეულ ხარჯებსა და პროგრამის მონიტორინგს და რომელთა შესრულებაც ევროპული ფონდების სახსრებიდან გაწეული ხარჯების ნაწილობრივი დაბრუნების წინაპირობას ქმნის.

¹ წყარო: მ. რულისკას 2008 წლის 10 ოქტომბრის პრეზენტაცია. პრეზენტაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.interreg3a.dolnyslask.pl/pliki/szkolenia/PartnerstwoTransgraniczne1.pdf

ათასწლეულის განვითარების მიზნები	(ინგ. <i>Millenium Development Goals</i>) გაეროს მიერ დადგენილი მიზნები: 1. შიმშილისა და უკიდურესი სიღატაკის აღმოფხვრა; 2. საყოველთაო საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფა; 3. სქესობრივი თანასწორობისა და ქალთა საზოგადოებრივი წინსვლის ხელშეწყობა; 4. ბავშვთა სიკვდილიანობის შეზღუდვა; 5. დედათა ჯანმრთელობაზე ზრუნვის გაუმჯობესება; 6. შიდსისა და სხვა გადაამდები დაავადებების გავრცელების შეზღუდვა; 7. ბუნებრივი რესურსების დაბალანსებული მართვა; 8. განვითარების გლობალური პარტნიორული შეთანხმების შემუშავება.
ფინანსური მონიტორინგი	პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად ევროპული ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მართვის მონიტორინგი, რაც მათი ხარჯვის მართებულობის შეფასების საფუძველს წარმოადგენს.
საგნობრივი მონიტორინგი	პროგრამებისა და პროექტების განხორციელების მონიტორინგი პროგრამული დოკუმენტებით განსაზღვრული მაჩვენებლების სისტემის მეშვეობით.
Networking	ინფორმაციის, სახსრების გაცვლის, მხარდაჭერისა და შესაძლებლობების ურთიერთგაზიარების პროცესი, რომელიც ხორციელდება ორმხრივი კონტაქტების სასარგებლო ქსელის დახმარებით. ქსელური მოქმედებები ემყარება საკუთარ მომსახურებასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს, ცოდნის გაზიარებასა და დახმარების გაწევას აუცილებლობის შემთხვევაში.
PCA	(ინგ. <i>Partnership and Co-operation Agreement</i>) პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება
ანგარიშსწორება	დახმარების ფარგლებში განსაზღვრული თანხა, რომელსაც ევროკომისია გადარიცხავს გადამხდელი ინსტიტუტის ან ორგანიზაციის ანგარიშზე ანგარიშსწორების თაობაზე განცხადების საფუძველზე.
პერიოდული ანგარიშსწორება	ევროკომისიის მიერ პროგრამის რეალიზაციის დროს განხორციელებული ანგარიშსწორება ფაქტობრივად გაწეული იმ ხარჯების დაბრუნების მიზნით, რაც დასტურდება ანგარიშფაქტურებით ან ანალოგიურად დამასაბუთებელი საბუღალტრო დოკუმენტებით.
პრიორიტეტი	სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი ოპერაციულ პროგრამაში, რომელიც გაგებულია როგორც ურთიერთდაკავშირებული მოქმედებების ჯგუფი, რომლებიც განზომილებად დაწვრილებით მიზნებს ახორციელებენ.
რეგიონული განვითარება	რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა და მათი მოსახლეობის ცხოვრების დონის კონკურენტუნარიანობის მყარი გამოსწორება, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს.
დაბალანსებული განვითარება	სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რომელიც ხანგრძლივი პერიოდით ინარჩუნებს სიმყარეს და დესტრუქციულად არ მოქმედებს გარემოზე, რომელშიც იგი მიმდინარეობს.
ანგარიშვალდებულება	დახმარების ფონდიდან თანადაფინანსებული პროგრამის ან პროექტების დანერგვის მმართველი ინსტიტუტის ანგარიშვალდებულება.

შესრულების კვლევა	<p>პროექტის მოსამზადებელ ფაზაში ჩატარებული კვლევა, რომელიც ამოწმებს, აქვს თუ არა მოცემულ პროექტს განცხადების კარგი საფუძველი და შეესაბამება თუ არა გათვალისწინებული ბენეფიციარის მოთხოვნებს. კვლევამ უნდა წარმოადგინოს პროექტის გეგმა, რომელშიც საჭიროა განისაზღვროს და კრიტიკულად გაანალიზდეს პროექტის დანერგვის ყველა საოპერაციო დეტალი, კერძოდ, სავაჭრო, ტექნიკური, ფინანსური, ეკონომიკური, ინსტიტუციური, საზოგადოებრივ-კულტურული და ბუნებრივი გარემოს პირობები. შესრულების კვლევა იძლევა ფინანსური და ეკონომიკური რენტაბელურობის განსაზღვრის, ამის შედეგად კი პროექტის განხორციელების მიზნის შკაფიო დასაბუთების საშუალებას.</p>
განცხადება	<p>ბენეფიციარის მიერ დახმარების სახსრებიდან მხარდაჭერის მოპოვების მიზნით წარდგენილი სტანდარტული ფორმულარი. ფორმულარში ასახული ინფორმაცია მოიცავს: განმცხადებელი ინსტრუქტის შესახებ ინფორმაციას, პროექტის შესახებ ინფორმაციას, პროექტის რეალიზების პერიოდში წამოწყებული მოქმედებების აღწერას, დაგეგმილ შედეგებსა და ხარჯებს, მოთხოვნილ დოკუმენტებს დანართის სახით.</p>
განაცხადი ანგარიშსწორების შესახებ	<p>განაცხადი ხარჯების დაბრუნების/დაბრუნების მიზნით პროექტის ანგარიშსწორების წარდგენის/ფაქტობრივად გაწეული იმ ხარჯების ანგარიშსწორების შესახებ, რაც დასტურდება ანგარიშსწორებით ან ანალოგიურად დამასაბუთებელი საბუღალტრო დოკუმენტაციით.</p>

ლექსიკონი შემუშავდა ვიელკოპოლსკას რეგიონული განვითარების ოპერაციული პროგრამიდან აღებული ევროპული პროექტების მართვის მეთოდოლოგიის განმარტებების გამოყენებით.

წინასიტყვაობა

ვიელკოპოლსკას საოეოდოს მარშლის სამსახურის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო ველკოპოლსკას საოეოდოს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, ქალაქ თბილისისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის SATMA მიერ დაწეებული თანამშრომლობის შედეგია. პროექტის „Regio Tamar – თვითმმართველობა დაყოფის გარეშე“ ფარგლებში განხორციელებული მრავალგანზომილებიანი თანამშრომლობა პარტნიორებს შორის შესაძლებელია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთის დახმარების პროგრამის ხელშეწყობით.

ნაშრომი მიზნად ისახავს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს განვითარების ხელშეწყობის მიმართულების თემაზე კომპლექსური ინფორმაციის მიწოდებას. სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ხელშეწყობისთვის არსებული ფინანსური მექანიზმების იდენტიფიცირება.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებული თემატიკის გაცნობისას გვსურს განსაკუთრებით ხაზი გავუსვათ კონკრეტული პროექტების შექმნის პროცესში თვითმმართველობის მნიშვნელოვან როლს, რომელიც ემსახურება დაბალანსებულ საციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

რა არის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა?

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის ერთ-ერთი თემატური პოლიტიკაა. ევროკავშირი თავის დასახულ მიზნებს ახორციელებს ერთობლივი ჯგუფების დახმარებით, სტრატეგიული მოქმედებებით, რომლებიც დაჯგუფებულია პოლიტიკად წოდებულ რამდენიმე თემატურ სფეროდ. ევროკავშირის ამგვარ თემატურ სფეროებს (პოლიტიკის მიმართულებებს) მიეკუთვნება: რეგიონული პოლიტიკა, საწარმოო პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ასევე კლიმატური პოლიტიკა. ევროკავშირის წევრი-ქვეყნების სახელით პოლიტიკის გარკვეულ მიმართულებებს აწარმოებს ევროპის კომისია, რომელიც აღნიშნულ დარგში წარმოადგენს საერთო ევროპულ ინტერესებს. ყველა სახის პოლიტიკას აქვს საერთო მიზნების განსახორციელებელი გარკვეული პროგრამები. პოლიტიკის ყველა მიმართულების პროგრამები ხორციელდება ფინანსური ინსტრუმენტების – ე.ი. ევროკავშირის ფონდების დახმარებით. ხშირ შემთხვევაში ცალკეულ თემატურ პოლიტიკას ერთი ფინანსური ინსტრუმენტი მაინც მიეკუთვნება. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ამგვარი ინსტრუმენტი ევროპის მეზობლობისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტი.

რატომ ღირს ამ თემაზე ცოდნის გაღრმავება?

ევროკავშირს სურს მეზობელ ქვეყნებს შესთავაზოს პრაქტიკული დახმარება პოლიტიკურ და ფინანსურ სფეროებში. ამგვარ თანამშრომლობას მოაქვს ორმხრივი სარგებელი. ევროკავშირს ეძლევა მის გარე საზღვრებზე უსაფრთხოების, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და სავაჭრო სფეროში თანამშრომლობის გარანტიები. ევროკავშირის მეზობელი ქვეყნები ძირითადად

დიდი ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის მატარებელი ქვეყნებია, რომლებსაც აქვთ სწრაფი განვითარების პერსპექტივა, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, აწყდებიან მრავალ სტრატეგიულ პრობლემას. ევროკავშირს სურს მათ დაეხმაროს არსებული პრობლემების გადაჭრაში და გაუზიაროს მის მიერ სხვადასხვა სფეროში მიღებული გამოცდილება. ამჟამად ხორციელდება ამ სტრატეგიის პირველი ფაზა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ეყრდნობა პარტნიორ ქვეყნებში სოლიდური ადმინისტრაციული ბაზის შექმნას. აუცილებელია ამ ქვეყნებში ინსტიტუტების კარგი პრაქტიკის პროპაგანდისა და მრავალი დარგის, კერძოდ, ადგილობრივი ადმინისტრაციის, საჯარო ფინანსების, მართლმსაჯულებისა და ა.შ. გაძლიერება რეფორმებში დახმარების საშუალებით. გაედაუვალი ხდება სოლიდური პარტნიორების მოძებნა, რომლებსაც შეუძლიათ მჭიდრო თანამშრომლობის დაწყება და მომავალში უფრო მეტი დახმარების მიღება. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მსგავსი სახით მოქმედებდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მოდელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი დახმარების ნაკადი მიმართულია ცენტრალური ადმინისტრაციის დონეზე, ადგილობრივმა და რეგიონულმა პარტნიორებმა უნდა გამოიყენონ ყოველგვარი შესაძლებლობა ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებულ პროექტებში გამოცდილების მისაღებად. მიუხედავად აღმოსავლეთ ევროპაში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ადრეული ეტაპისა, უკვე დღეს ევროკავშირის ზოგიერთი წევრი-ქვეყანა აღმოსავლეთთან პარტნიორობის ფარგლებში აღნიშნული თანამშრომლობის გაღრმავების ინიციატივით გამოდის.

ნაწილი I ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირში

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ინგლ. *European Neighbourhood Policy, ENP*) არის ევროკავშირის პოლიტიკა მისი მეზობელი ქვეყნების მიმართ. ბენეფიციარებს, ე.ი. დახმარებით სარგებლობისათვის უფლებამოსილ ქვეყნებს შორის თავდაპირველად იყვნენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა: ალჟირი, ბელარუსია, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, მოლდავეთი, პალესტინა, სირია, ტუნისი, უკრაინა. 2004 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ENP-ს მოეცვა თურქეთის მეზობლად მდებარე სამხრეთ კავკასია: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ასევე მოიცავს რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას.

ევროპის კომისიამ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის კონცეფცია პირველად წარმოადგინა 2003 წელს გამოქვეყნებულ კომიუნიკეში „გაფართოებული ევროპა – აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობის ახალი სამართლებრივი ჩარჩოები“, რის შემდეგაც დაიწყო ინტენსიური მუშაობა მისი წესებისა და დაფინანსების მეთოდების ფორმულირებაზე, რაც დღემდე მიმდინარეობს. ახლახანს დასრულდა ასამოქმედებლად ყველა იმ ფინანსური მექანიზმის მომზადება, რომლითაც დაგეგმილი მოქმედებები განხორციელდება.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა პასუხია იმ ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც წარმოიშვა 2004 წლის 1 მაისს, ევროკავშირის 10 ქვეყნით – პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, ჩეხეთი, სლოვენია, კვიპროსი და მალტა, ხოლო 2007 წლის 1 იანვარს კიდევ ორი ქვეყნით: რუმინეთითა და ბულგარეთით გაფართოების შემდეგ. ევროკავშირის ისტორიაში ამ უდიდესმა გაფართოებამ შექმნა ევროკავშირის ფუნქციონირების მრავალი დარგის, განსაკუთრებით კი მისი საგარეო პოლიტიკისა და უახლოეს მეზობლებთან ურთიერთობის რეფორმირების აუცილებლობა. ახალ მიზნად იქცა მეზობელ ქვეყნებთან ბოლო გაფართოების შედეგად მიღებული სარგებლის განაწილება და იმ ახალი განვითარებადი ბარიერების შექმნის თავიდან აცილება, რომლებიც ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს მის მეზობლებთან მიმართებაში გადაეღობოდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა იძლევა ევროკავშირის წევრ-ქვეყნებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავების საშუალებას. ევროკავშირს სურს პოლიტიკურ, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის განმტკიცების გზით მეზობელ ქვეყნებს შესაძლებლობა მისცეს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის მოქმედებებში. ევროკავშირს სურს მოამზადოს მეზობელი ქვეყნები ევროპის შიდა ბაზარზე მათი მონაწილეობის გაზრდისათვის. პარტნიორ ქვეყნებს ასევე აქვთ შერჩეული ევროპული პროგრამებიდან დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტებში ეტაპობრივი მონაწილეობის შანსი, რომლებიც მათთვის აქამდე მიუწვდომელი იყო.

ევროკავშირს განსაზღვრული აქვს ასეთი სახით ევროპული საბჭოს მიერ 2003 წლის დეკემბერში მიღებული დოკუმენტის – ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა. აღნიშნულ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება სამხრეთ კავკასიას ექცევა. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიულ მიზნებს ასევე მიეკუთვნება კორუპციასთან, შავი ფულის გათეთრებასთან, ადამიანებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, ტერორიზმთან, მასობრივი განადგურების იარაღის დამზადებასთან ბრძოლა,

ასევე საერთაშორისო სამართლის პატივისცემა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება.

მიზანი:

ევროკავშირი თავის მეზობლებს სთავაზობს პრივილეგიურ პოზიციას, რომელიც ეყრდნობა ისეთი საერთო ღირებულებების პატივისცემას, როგორცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონიერება, თავისუფალი ბაზრის პრინციპები და მდგრადი განვითარება. სამეზობლო პოლიტიკა მეზობელ ქვეყნებს სთავაზობს მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, მაგრამ არ ითვალისწინებს მოლაპარაკებებს ევროკავშირთან მათი მიერთების საკითხზე. მიღებული მოქმედების მეთოდია გარკვეულ ქვეყანასთან თანამშრომლობის პრიორიტეტების ერთობლიობის შემუშავება, რომლებიც შეტანილი იქნება ქვეყნის სამოქმედო გეგმაში. მისი პრინციპია Joint Ownership, ე.ი. საერთო ქონება. მისი საფუძველია რწმენა, რომ ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს თავს არ ახვევს თავის პრიორიტეტებს, ვინაიდან ეს პრიორიტეტები ორივე მხარის მიერ ერთობლივად არის შემუშავებული. ამიტომ ყველა ქვეყანასთან ინდივიდუალურად შეთანხმებული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული პრიორიტეტები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება.

მოქმედების მეთოდი:

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის უმთავრესი ელემენტებია ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები. ეს დოკუმენტები ერთობლივად არის შემუშავებული ევროკომისიისა და პარტნიორი ქვეყნის მიერ ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ორმხრივ ხელშეკრულებებს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში ეწოდებათ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები (ინგლ. Partnership and Co-operation Agreement), ხოლო ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების შემთხვევაში გვაქვს ევროპული და ხმელთაშუა ზღვის რეგიონული თანამშრომლობა (ინგლ. Euro Mediterranean Partnership). ევროკავშირი ყველა ქვეყანასთან ათანხმებს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას (ინგლ. Action Plan). აღნიშნული დოკუმენტი დეტალური მოლაპარაკებების საგანია და მისადაგებულია ორივე მხარის მოთხოვნებთან, შესაძლებლობებსა და ინტერესებთან, მოიცავს მოკლე და საშუალოვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებიც მიეკუთვნება:

- პოლიტიკურ დიალოგსა და რეფორმებს
- ეკონომიკურ, სოციალურ და განვითარების საკითხებში თანამშრომლობას,
- სავაჭრო ურთიერთობებსა და ბაზრის რეგულირების რეფორმას
- შინაგან საქმეთა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობას
- სექტორული პოლიტიკა, ეხება შემდეგ სექტორებს: ტრანსპორტი, ენერჯია, ინფორმაციული საზოგადოება, გარემოს დაცვა, კვლევები და განვითარება.
- სოციალური პოლიტიკა: ადამიანთაშორისი კონტაქტები, სამოქალაქო საზოგადოება, განათლება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა.

ნაწილი II

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოსთვის

ევექტური ევროპული პროექტების შექმნის გათვალისწინებით, საჭიროა სტრატეგიული დოკუმენტების გულმოდგინედ გაანალიზება. თითოეული პროექტი უნდა იწვევდეს მასში გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას. სასურველია მიეთითოს დოკუმენტებში გამოყენებულ გარკვეულ ჩანაწერებსა და ფორმულირებებზე. სწორედ ამიტომ მათი წაკითხვა არავითარ შემთხვევაში არ იქნება დროის დაკარგვა. ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოკლე აღწერას, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს საერთო მიზნებს განსაზღვრავენ.

2.1 ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის ძირითადი ჩარჩოები

ევროკავშირისა და საქართველოს შორის 1996 წლის 22 აპრილს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (ინგლ. Partnership and Co-operation Agreement შემოკლებით „PCA”)² 1999 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში. ეს არის ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 10 წლის ვადით და ურთიერთობების შემდგომი გაფართოების საფუძველს წარმოადგენს, ხაზს უსვამს ორივე მხრის მიერ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებების პატივისცემას, განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკური თანამშრომლობის მიზნებს, მკაფიოდ უჭერს მხარს დემოკრატიულ გარდაქმნებსა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, ხელს უწყობს კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის.

ხელშეკრულება დაწერილებით განსაზღვრავს სავაჭრო ურთიერთობების პრინციპებს და ასევე თანამშრომლობას მასთან დაკავშირებულ ისეთ დარგებში, როგორცაა მეცნიერება, ტექნოლოგია (ერთობლივი გამოკვლევები და ინფორმაციის გაცვლა), განათლება (თანამშრომლობა საქართველოში სწავლების დონის ამადლების, მოსწავლე სტუდენტებისა და მეცნიერების მობილურობის, სასწავლო პროგრამებში ევროპული სწავლებისა და ევროკავშირის ენების შეტანა), ტრანსპორტის, ენერჯის (ამ სექტორის საბაზრო რეგულირებისა და მართვის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, პერსონალის სწავლება, ენერჯის განახლებადი წყაროების პოპულარიზაცია, გამოყენებადი ენერჯის შემცირება), ტელეკომუნიკაცია და საფოსტო მომსახურება, იწყებს საქართველოს ევროპულ თანამეგობრობასთან დაახლოების პროცესს და შემოაქვს საქართველოსათვის ევროპული კონსულტაციის ელემენტი ფინანსურ, მრეწველობის რესტრუქტურისაციის, მართვის გაუმჯობესებისა და ისეთ სპეციფიკურ დარგებში, როგორცაა ყოფილი სამხედრო და ინდუსტრიული სივრცეების გარდაქმნა, თანამშრომლობა სამშენებლო მრეწველობაში, კონსულტაცია პრომოციის,

² აღნიშნულმა ხელშეკრულებამ შეცვალა ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა 1989 წლის 18 აგვისტოს და დაიდო ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას, ატომური და ბირთვული ენერჯის ევროპის თანამეგობრობასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ინვესტიციების დაცვისა თუ საჯარო დაკვეთების პროცედურების სფეროში. ქართულ-ევროპული თანამშრომლობის პრობლემების კატალოგი იმდენად ვრცელია, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დებულებებზე თამამი დაყრდნობით ნებისმიერ თემაზე შეიძლება პროექტის შექმნა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტის დაარსება. კერძოდ, იქმნება თანამშრომლობის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს, ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს წარმომადგენლები მინისტრების დონეზე. თანამშრომლობის საბჭოს დახმარებას უწევს თანამშრომლობის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ასევე იქმნება საპარლამენტაშორისო კომიტეტი, რომელიც ევროპარლამენტსა და საქართველოს პარლამენტს შორის თანამშრომლობის ფორუმს წარმოადგენს. თანამშრომლობის კომიტეტს შეუძლია შეიტანოს განაცხადი (Interpellation) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე, ასევე თავისი რეკომენდაციებით მიმართოს თანამშრომლობის საბჭოს.³

2.2 საქართველოს სამოქმედო გეგმა

2004 წელს საქართველო სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად შეუერთდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნების წრეს. ევროკავშირისთვის სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვანი სივრცეა, რაც აშკარად უკავშირდება რეგიონში სტრატეგიული ბუნებრივი ნედლეულის – ნავთობისა და გაზის არსებობასა და მათ ტრანზიტს თურქეთში. ევროკავშირი კარგახანია ისწრაფვის ამ ნედლეულის მიწოდების დივერსიფიკაციისა და ამ მხრივ რუსეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ.

2004 წელს ევროკავშირში რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ თურქეთს წევრობის კანდიდატის სტატუსი აქვს, ხოლო მოლაპარაკებები ოფიციალურად 2005 წლიდან მიმდინარეობს.

ამის გარდა, სამხრეთ კავკასია მოხსენიებულია ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიაში, რეგიონში არსებულ „გაყინულ“ კონფლიქტებთან მიმართებით, რომლებიც ევროკავშირის მუდმივ ყურადღებასა და სტაბილურობისაკენ მიმართული მოქმედებების დაწყებას საჭიროებს.

2005 წლის მარტში ევროკომისიამ წარმოადგინა ქვეყნის მდგომარეობის შესახებ მოხსენება, რომელშიც შეაფასა საქართველოს წინსვლა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზაზე. აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს პირველ საპროცედურო ეტაპს, რომელიც ემსახურება საერთო საშუალოპერიოდული პოლიტიკური დოკუმენტის – სამოქმედო გეგმის (ინგლ. Action Plan) შემუშავებას. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია 5 წლის ვადით. აღნიშნული დოკუმენტი მიღებულ იქნა 2006 წლის 14 ნოემბერს. გეგმის მიზანია 1999 წლის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების უფრო

³ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის დელეგაციის ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციის მიხედვით;

წყარო: http://www.delgeo.ec.europa.eu/en/eu_and_georgia/agreements.html

ეფექტური განხორციელება, ე.ი. ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების განმტკიცების ხელშეწყობა. გეგმა ატარებს საქართველოს ხელისუფლების რეფორმების პროგრამის დამატებით ხასიათს, ხოლო მისი ძირითადი მიზანია ამ პროცესებში ევროკავშირის თანადგომა.

გეგმის დეტალური მიზანია საქართველოს მართლწესრიგის შემდეგ სფეროების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა:

1. დემოკრატიის გაძლიერება, სამართლის პრონციპების დაცვა და ადამიანის უფლებების პატივისცემა
2. სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება, სიღარიბის დონის შემცირება
3. კონფლიქტების მოწესრიგება
4. მართლმსაჯულებასა და შიდა უსაფრთხოებასთან, საზღვრების დაცვის მართვასთან დაკავშირებული საკითხები
5. სხვადასხვა, მათ შორის, ენერჯისა და ტრანსპორტის სექტორების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების დაახლოება
6. რეგიონული თანამშრომლობა (აღნიშნული გეოგრაფიული რეგიონის პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომლებიც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილეობენ)

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების საფუძველს.

2.3 ახალი პოლიტიკური ინიციატივები საქართველოსათვის

შავი ზღვის რეგიონში ურთიერთმოქმედება Black Sea Synergy - შავის ზღვის რეგიონის ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოება

2007 წლის აპრილს ევროკომისია გამოვიდა Black Sea Synergy ინიციატივით. იგი ხმელთაშუა ზღვის რეგიონული თანამშრომლობისა და ჩრდილოეთ განზომილების პოლიტიკასთან ერთად არის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის მორიგი ელემენტი. Black Sea Synergy-მ ხელი უნდა შეუწყოს შავი ზღვის რეგიონებსა და ასევე ამ რეგიონებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის განვითარებას, რითაც წარმოადგენს კომისიის წინა შემოთავაზებას, რომელიც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისათვის რეგიონული განზომილების მინიჭების საკითხს ეხება. Synergy მოქნილი ინიციატივაა, რომელმაც ურთიერთგამომდინარე მოქმედებები და უკეთესი კოორდინაცია უნდა უზრუნველყოს. შეფასების უდიდესი კრიტერიუმი გულისხმობს, არის თუ არა აღნიშნული ინიციატივისადმი ევროკავშირის მხარდაჭერა სარგებლის მომტანი, მიიღება პირდაპირ დაინტერესებული ქვეყნებისა და რეგიონული სუბიექტის აქტიური, მათ შორის, ფინანსური ხასიათის ჩართვა. Synergy-ის სფერო შეიძლება სცილდებოდეს თვით რეგიონის ფარგლებს, რადგან მრავალი მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეზობელ რეგიონებთან, განსაკუთრებით კი კასპიის ზღვასთან, შუა აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან. შავი ზღვის რეგიონისათვის მიღებული სამოქმედო კონცეფცია მჭიდროდ არის

დაკავშირებული შუა აზიასთან მიმართებით ევროკავშირის სტრატეგიასთან, რომელიც მნიშვნელოვან რეგიონთაშორის ასპექტებსაც ითვალისწინებს.

ამჟამად Synergy ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხებსა და თანამშრომლობის სფეროებზე, რომლებიც ასახავს საერთო პრიორიტეტებს, რომლებშიც მკაფიოდ ჩანს ევროკავშირის მონაწილეობა და მხარდაჭერა. ამასთან დაკავშირებით ფორმულირებულ იქნა აღნიშნულ დარგებთან დაკავშირებული რამდენიმე მოკლე და საშუალოვადიანი დაგეგმვა.

ესენია:

- დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა და კარგი მართვა
- ადამიანთა გადაადგილების მართვა და უსაფრთხოების გაუმჯობესება
- „გაყინული“ კონფლიქტები
- ენერჯია, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა
- საზღვაო პოლიტიკა და თვზჭერა
- კვლევითი და საგანმანათლებლო ქსელები
- მეცნიერება და ტექნოლოგია
- დასაქმება და სოციალური საკითხები
- რეგიონული განვითარება⁴

Black Sea Synergy ამჟამად უკვე ხორციელდება. ამ ინიციატივის ამსახველია ევროპის მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის ტრანსსასაზღვრო კომპონენტი, რომელიც განხილულია 5.2 ნაწილში.

აღმოსავლეთთან პარტნიორობა

აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროექტი ევროპულმა საბჭომ მიიღო 2008 წლის 19-20 ივნისს, პოლონეთისა და შვედეთის მიერ წარმოდგენილი ერთობლივი წინადადების საფუძველზე. აღნიშნული პარტნიორობის პროცესები თავსდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, მაგრამ პროექტის მიზანია თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გაღრმავება ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლებთან, განსაკუთრებით მის პორიზონტალურ ასპექტში. შემოთავაზებული სფეროები ეხება ისეთ დარგებს, როგორცაა ვაჭრობა, პოლიტიკა, განათლება, ბუნებრივი გარემო თუ უსაფრთხოება. ევროკავშირისა და მისი აღმოსავლეთ მეზობლების თანამშრომლობის იდენტიფიცირებას ასევე უნდა მოეცვა ორმხრივი ურთიერთობები და მრავალმხრივი თანამშრომლობა, ამ განზომილებაში არსებული რეგიონული პროგრამების დამატებით. პროექტი მიზნად ისახავს არა სახსრების გაზრდას სამეზობლო პოლიტიკის განსახორციელებლად, არამედ – მისი ზემოქმედების გაძლიერებას. მას არც სამეზობლო პოლიტიკის ინსტიტუციურ ფორმაზე აქვს გავლენა.

ორმხრივი სფეროს უმნიშვნელოვანესი საკითხებია შორეულ პერსპექტივაში უვიზო რეჟიმის შემოღებისა და გაღრმავებული თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა. შემოთავაზება ასევე მიზნად ისახავს სამოქმედო გეგმის შემოწმებას, რომელიც ხელს შეუწყობს იმ დოკუმენტების ახალი სახით შემუშავების თემაზე დისკუსიას, რომლებიც უფრო კარგად განახორციელებდნენ სახელმწიფო რეფორმების გეგმას, ხოლო მისი ფორმა

⁴ შემუშავებულია ევროკომისიის მიერ ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტისათვის მომზადებული 2007 წლის 11 აპრილის კომიუნიკეს საფუძველზე

უმეტესწილად შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ცალკეული პარტნიორის ინდივიდუალურ მოთხოვნებთან. ეს არის მნიშვნელოვანი სიგნალი, განსაკუთრებით პარტნიორობისა და თანამშრომლობის ათწლიანი შეთანხმების მოქმედების ვადის დასრულების მოახლოების კონტექსტში. საქართველოს შემთხვევაში ეს დოკუმენტი 2009 წლის ბოლომდე იმოქმედებს. აღმოსავლეთთან პარტნიორობის შემოთავაზება გულისხმობს ახალი დოკუმენტების შემუშავებას, რომლებიც ორმხრივი ურთიერთობების საფუძველს შექმნის.

მრავლმხრივი რეალიზაციის სფეროში, წვერი-ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორების თანამშრომლობა წარიმართება ერთობლივი დამატებითი პროექტების საფუძველზე, განსაკუთრებით ტრანსსასაზღვრო პროგრამებთან მიმართებით, რომლებიც მოიცავდა ზემოაღნიშნულ თემატურ სფეროს.

შემოთავაზება დადებითად იქნა მიღებული ევროკავშირის საბჭოს იენისის სამიტზე, რომელმაც მ/წლის სექტემბერში ევროკომისიას სთხოვა ამ საკითხზე მოემზადებინა კომიუნიკე, რომელიც დეკემბერში უნდა გამოქვეყნდეს და წარმოადგენს აღმოსავლეთთან პარტნიორობის ჩარჩოებს და შემდგომი საკანონმდებლო საქმიანობის საფუძველი გახდება.⁵

⁵ წყარო: პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი: www.msz.gov.pl

ნაწილი III

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ინგლ. European Neighbourhood and Partnership Instrument) სამეზობლო პოლიტიკის მიზნების განმახორციელებელი ფინანსური ინსტრუმენტია. იგი ახალი ფონდია, რომელიც 2006 წლის 26 ოქტომბრის №1638//2006 განკარგულებით 2007 წელს იქნა შემოღებული, იგი ცვლის და აფართოებს აქამდე გამოყენებულ ინსტრუმენტებს: TACIS – აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის და MEDA – ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისთვის.

ბიუჯეტი და საერთო ფონდის ასიმილაციის ზოგადი პრინციპები


პროგრამირების პერიოდი, ე.ი. ამ ინსტრუმენტის არსებობის ციკლი ემთხვევა ევროკავშირში გამოყენებულ ფინანსურ პერსპექტივებს და 7 წელიწადს მოიცავს. 1980-ანი წლების დასასრულიდან ევროკავშირი იყენებს ბიუჯეტის სპეციფიკურ დაგეგმარებას შვიდწლიანი ფინანსური პერსპექტივების სახით. ყოველი ახალი გასავლის მიმართულება მჭიდროდ განსაზღვრული უნდა იყოს პერსპექტივის დაწყების თარიღამდე. ყოველი ახალი პერიოდის დაწყებამდე მიმდინარეობს პოლიტიკური ჭიდილი სახსრებისა და უახლოეს მომავალში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის. ამჟამინდელი დაგეგმარების პერიოდი 2007 წელს დაიწყო და 2013 წლამდე გასტანს. სწორედ ამ პერიოდით დამტკიცდა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის პირველი გამოცემა. თუკი ფონდი მოსალოდნელ შედეგებს გამოიღებს, 2013 წლიდან მისი მეორე გამოცემა ასიმილირებული იქნება. ევროპის სამეზობლო და პარტნიორული ინსტრუმენტის დამტკიცებული საერთო ბიუჯეტი 11,18 მილიარდ ევროს შეადგენს.

ევროკავშირის ფონდების მოქმედების მნიშვნელოვანი პრინციპია n+2. “N” აღნიშნავს წელიწადს, რომელზეც მიწერილია ბიუჯეტის სახსრები და მისი გამოყენების პროგრამა – ე.წ. წლიური პროგრამა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ასიმილაციასა და ყოველწლიური პროგრამის ანგარიშსწორებას დამატებით ორი მომდევნო წელი სჭირდება. 12- თვიანი პროექტების შემთხვევაში მათი განხორციელების ციკლი გარკვეულ წლებზე შემდეგნაირად გამოიყურება: მაგალითად, 2007 წელს შემუშავდა პირველი ყოველწლიური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დეტალურ მოქმედებებს, რომლებზეც გადანაწილდება სახსრები 2007 წლისთვის გამოყოფილი ტრანშის ფარგლებში. წლიური პროგრამა ევროკომისიამ უნდა მოიწონოს და თანხმობის მიღების შემდეგ მის საფუძველზე შეიძლება პროექტებზე კონკურსების გამოცხადება. ეს პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული პროცედურების გათვალისწინებით, 2007 წლის წლიური პროექტი 2008 წელს ხორციელდება. წლიური პროგრამის შესახებ ანგარიშსწორება, ე.ი. ყველა პროექტის შედეგების შეფასება, ანგარიშვალდებულება და ფინანსური ანგარიშსწორება 2007 წლისათვის ხდება 2009 წელს. ასეთი მეთოდით 2007 წლის ერთწლიანი პროგრამა სწორედ 2 წლის შემდეგ ე.ი. 2009 წელს იხურება. იგივე რამ მოხდება ბოლო წელს, ე.ი. 2013 წელს, რომლის პროექტებიც 2014 წელს განხორციელდება, ხოლო

ანგარიშწორება 2015 წლამდე გაგრძელდება. ამ ფინანსური პერსპექტივიდან, საერთოდ, პროექტის საბოლოო ანგარიშსწორება და ანგარიშის დახურვა 2015 წლამდე შეიძლება გაგრძელდეს. ეს პრინციპი აუცილებელს ხდის პროექტების რეალიზაციის ვადების დაცვას, რადგან დროულად გამოუყენებელი სახსრები უნდა დაბრუნდეს.

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტში სახსრების გადანაწილება

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილი შეთანხმებული დოკუმენტებისა და ერთობლივად შემუშავებული პრიორიტეტების საფუძველზე განსაზღვრულია ფინანსური მხარდაჭერისთვის ქვეყნის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად. მეორე ნაწილი გამოყოფილი გეოგრაფიული სივრცეების მიხედვით აფინანსებს პროექტებს კონკრეტულ ქვეყნებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ფარგლებში. მესამე ნაწილი კი არის ყველა მეზობელი ქვეყნის ბენეფიციარებისათვის ზოგადად ხელმისაწვდომი, ბრიუსელში ევროკომისიის მიერ გამოცხადებული გახსნილი კონკურსების პრინციპებით. ყოველი ეს ნაწილი ასიმილირებულია სხვადასხვა დოკუმენტისა და ინსტიტუტის საფუძველზე.



დამუშავებულია ავტორის მიერ

3.1 ქვეყნის კომპონენტი

თანააფინანსებს ქვეყნის მოქმედებების განხორციელებას 2007-2013 წლებისათვის მიღებული ქვეყნის სტრატეგიის დოკუმენტის (ინგლ. Country Strategy Paper) საფუძველზე, რომელიც ხორციელდება ორ ქვეპერიოდში ეროვნული ინდიკატორული პროგრამის (ინგლ. National Indicative Programme) დახმარებით. ამ მოქმედებებმა უნდა შეავსონ ყველა ქვეყნის მიერ სამოქმედო გეგმაში მიღებული სტრატეგიები.

კომპონენტის განხორციელება ასევე ითვალისწინებს გეოგრაფიულ რეგიონში წამოწეული ინიციატივების, ე.ი. რეგიონული პროექტების თანადაფინანსებას, რომლის მხარეებიც არის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე სულ ცოტა ორი პარტნიორი ქვეყანა. ამგვარი მოქმედებები განისაზღვრება სამი მთავარი პროგრამით: ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტით (ENPI), აღმოსავლეთ რეგიონით, ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტით, სამხრეთ რეგიონი და ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის რეგიონთაშორისი თანამშრომლობის პროგრამა აღმოსავლეთისა და სამხრეთისათვის. რეგიონული თანამშრომლობის საკითხებში პროგრამულ დოკუმენტებს ქვეყნის პროგრამების მსგავსი სტრუქტურა აქვთ.

ამ კომპონენტის განხორციელება ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი დეტალიზაციის ხარისხის მიხედვით:

- სტრატეგიული ზოგადი დოკუმენტები, რომლებიც მოქმედებს მთელი ასიმილირების პერიოდის განმავლობაში – 2007-დან 2013 წლამდე; ისინი შეიცავენ ქვეყნისა და რეგიონულ სტრატეგიულ პროგრამებს.
 - უფრო მიზანმიმართული ინდიკატორული პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია 2007-2009 და 2010-2013 წლების პერიოდისათვის; შეიცავენ ქვეყნისა და რეგიონის ინდიკატორულ პროგრამებს.
 - დეტალური წლიური პროგრამა პროგრამირების პერიოდის ყოველი წლისათვის.

პირველი კომპონენტი წარმოადგენს ევროკავშირის დახმარების ძირითად საკითხს მეზობელი ქვეყნებისათვის და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის დანერგვის ძირითადი ხერხია. ამ კომპონენტის რეალიზაციისთვის გამოიყო ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ბიუჯეტის 90%. მისი მეთოდები დაწვრილებით იქნება აღწერილი მე-4 ნაწილში საქართველოსათვის ხელმისაწვდომი სახსრების მაგალითზე.

3.2 ტრანსსასაზღვრო კომპონენტი

თანააფინანსებს მოქმედებების განხორციელებას ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სფეროში და ეხება ევროკავშირის საზღვრებს გარეთ, მეზობელ ქვეყნებში არსებულ რეგიონებს. ამ კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება ორი სახის პროგრამა, რომელიც დამოკიდებულია საზღვრის ტიპზე, კერძოდ, არის თუ არა ეს სახმელეთო თუ საზღვაო საზღვარი. საერთო ჯამში ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში მოქმედებს 15 ტრანსსასაზღვრო ოპერაციული პროგრამა.

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში ტრანსსასაზღვრო კომპონენტი განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. პირველ რიგში, პროგრამები მიმართულია ადგილობრივი და რეგიონული მთავრობისკენ და სხვა ადგილობრივი მონაწილეებისკენ, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისკენ. მეორე, მისი ბენეფიციარები არიან მეზობელი ქვეყნები, ისევე როგორც მათთან მოსაზღვრე წევრი-ქვეყნები.⁶ ამიტომ ოპერაციული პროგრამები ფინანსდება ორი სხვადასხვა ფონდიდან, რომლებიც ევროკავშირის ორ პოლიტიკას ახორციელებს: ევროკავშირის

⁶ სხვა კომპონენტებში მოქმედებს სავალდებულო პრინციპი, რომლის თანახმადაც ბენეფიციარები (ე.ი. პროექტიდან სარგებლის მიმღები მხარე) არიან მეზობელი ქვეყნები

სამეზობლო პოლიტიკასა და რეგიონულ პოლიტიკას (ეს უკანასკნელი მხოლოდ ევროკავშირის რეგიონებისთვის არის გამოიზნული). ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სახსრები პროგრამის Interreg IV ფარგლებში, ევროპის ტერიტორიული თანამშრომლობის სფეროში. მეზობელი ქვეყნები კი სარგებლობენ ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტების სახსრებით.

ოპერაციული პროგრამები შემუშავებულია ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მიერ მეზობელ ქვეყნებთან მათი თანამშრომლობით. თითოეულ პროგრამას წარმართავს აღნიშნული პროგრამისათვის შესაბამისი ერთობლივი მმართველი ორგანო (ინგლ. Joint Managing Authority). მმართველი ორგანოს ოფისი ყოველთვის ევროკავშირის წევრ-ქვეყანაშია განთავსებული.

ზუსტი ტრანსსასაზღვრო პროგრამების ჩამონათვალი მათი შესაბამისი მმართველი ორგანოებით შეგიძლიათ იხილოთ დანართში №1.

ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის აღნიშნული კომპონენტის რეალიზაციისთვის, რომელიც 15 ტრანსსასაზღვრო პროგრამისაგან შედგება, 2007-2013 წლებში გამოიყო 1,118 მილიარდი ევრო.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ზოგადად უნდა ასრულებდეს 4 ძირითად მიზანს:

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წახალისება
- საერთო გამოწვევებზე პასუხის გაცემა, მაგ. გარემოს დაცვის სფეროში
- საზღვრების უსაფრთხოებისა და ნაყოფიერების უზრუნველყოფა
- ქვეყნების მოქალაქებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

ოპერაციული პროგრამების უმეტესი ნაწილი დამტკიცდა 2008 წლის მეორე ნახევარში, ხოლო 2008/2009 წლების მიჯნაზე დაიწეება განაცხადების შეგროვების პირველი ეტაპი. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ინსტრუმენტს გრძელი ისტორია აქვს. მისი წინამორბედი იყო ისეთი პროგრამები, როგორცაა: Interreg (ევროკავშირის წევრი-ქვეყნების შემთხვევაში), Phare CBC და TACIS (მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში). ამრიგად, არსებობს მდიდარი გამოცდილება, რომელიც ამ კომპონენტის რეალიზაციის დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული.

რეალიზაციის შესაძლებლობები დეტალურად იქნება განხილული მე-4 ნაწილში, შავი ზღვის პროგრამის ფარგლებში საქართველოსათვის ხელმისაწვდომი სახსრების მაგალითზე.

ნაწილი IV

ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის რეგიონთაშორისი კომპონენტი

თანააფინანსებს მოქმედებებს რეგიონთაშორისი თანამშრომლობის სფეროში, ამ განზომილებაში ეხება ასევე ევროკავშირის ნებისმიერ წევრ-ქვეყანასთან თანამშრომლობას. ტრანსსასაზღვრო კომპონენტის მსგავსად, ასრულებს შემავსებლის როლს ქვეყნის სტრატეგიის განხორციელებასთან მიმართებით. ამ ნაწილის რეალიზაციისთვის გამოიყო შედარებით მცირე სახსრები, ვიდრე მთლიანი ინსტრუმენტის ბიუჯეტია და საერთო ჯამში დაახლოებით 523.9 მილიონ ევროს (2007-2010 წლებისთვის) შეადგენს.

ეს კომპონენტი ხორციელდება რეგიონთაშორისი პროგრამის ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის საფუძველზე. მისი რეალიზაციის სამართლებრივ ჩარჩოებს განსაზღვრავს სტრატეგიული დოკუმენტი და ინდიკატორული პროგრამა (ინგლ. ENPI Interregional Programme Strategy Paper 2007-2013 & Indicative Programme 2007-2010). მის დანერგვაზე პასუხისმგებელია სხვადასხვა ინსტიტუტი კონკრეტული პრიორიტეტიდან თუ პროგრამიდან გამომდინარე. ამ კომპონენტის მართვა მაქსიმალურად ცენტრალიზებულია და ხშირ შემთხვევაში ევროკომისიის დონეზე ხორციელდება.

<i>ENPI-ის რეგიონთაშორისი კომპონენტი 2007-2010 წლებისთვის</i>			
რ.პ.	პრიორიტეტები	მოქმედებები	სამოქმედო ბიუჯეტი მლ.€
1	რეფორმების ხელშეწყობა ევროპული კონსულტაციებისა და გამოცდილების დახმარებით	1.1 პროგრამა TAIEX	40
		1.2 პროგრამა SIGMA	
2	სტუდენტთა მობილურობის ხელშეწყობა	2.1 პროგრამა TEMPUS IV	208,6
		2.2 პროგრამა ERASMUS MUNDUS	
3	ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებში ადგილობრივ მთავრობებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა	პროგრამა CIUDAD	14,3

4	ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის განხორციელების ხელშეწყობა		დამოკიდებულია პროგრამის წინსვლაზე
5	მეზობელ ქვეყნებში საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობა	Neighbourhood Investment Facility	250

დამუშავებულია ავტორის მიერ

4.1 პრიორიტეტი 1: რეფორმების ხელშეწყობა ევროპული კონსულტაციებისა და გამოცდილების დახმარებით

ქვემოთ წარმოდგენილი პროგრამები ძირითადად ეყრდნობა მეზობელი ქვეყნებისთვის ევროკავშირის ექსპერტების დახმარების გაწევას. ამ პრიორიტეტში შემოთავაზებული პროგრამების განსხვავება პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მდგომარეობს. TAIEX-ის ფარგლებში რეალიზებულ პროექტს აქვს მოკლევადიანი ხასიათი, SIGMA – საშუალოვადიანი, ხოლო პროგრამა TWINNING – გრძელვადიანი. TAIEX და TWINNING პროგრამებში მონაწილეობა შეუძლიათ ადგილობრივი ან ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებს. თუმცა, ამ პროგრამების მომწვესრიგებელი ნორმები ძირითადად ეხება სამართლის იმპლემენტაციასა და ევროპული მოდელების მიახლოებულ რეფორმას, ასევე შესაძლებელია პროექტების შემუშავება „წარმატებული პრეპტიკის“ საფუძველზე დაყრდნობით.⁷ TAIEX და SIGMA აღნიშნული კომპონენტის სახსრებით ფინანსდება. პროგრამის TWINNING ბიუჯეტი საქართველოსთვის გათვალისწინებულია ქვეყნის კომპონენტში, მისი წლიური გეგმის ფარგლებში. მაგრამ დაახლოებული ფორმულიდან გამომდინარე, განხილულ იქნა ამ პროგრამების ჯგუფში.

4.1.1 პროგრამა TAIEX (teqnikuri daxmarebisa da informaciis gacvla)

TAIEX გაფართოების საკითხებში ევროკომისიის გენერალური დირექციის მიერ მართული, საკმაოდ მოქნილი და შედარებით მარტივი ინსტრუმენტია, პარტნიორ ქვეყნებს ეხმარება დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს, გამოიყენოს ისინი და მათთან შესაბამისობაში მოიყვანოს კანონმდებლობა. TAIEX არის ინსტრუმენტი, რომელიც მხოლოდ საჭიროების მიხედვითაა ამოქმედებული. ის ხელს უწყობს მოკლე პერიოდში ექსპერტიზის შემუშავებას, რომელიც მორგებულია მიმდებარე მოთხოვნის გარკვეულ პირობებსა და მოთხოვნებთან, ემსახურება კონკრეტული პროგრამის გადაწყვეტას. მომდევნო სხვა პრიორიტეტებისაგან განსხვავებით, TAIEX საქართველოში უკვე ხორციელდება. პირველი პროექტები 2006 წელს

⁷ წარმატებული და საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს მოქმედებებს, რომლებიც შემოწმდა და მოქმედებს სხვა ქვეყნებში და დადებითი შედეგი მოაქვს. შესაძლებელია სხვადასხვა დარგსა და პრობლემას ეხებოდეს.

განხორციელდა. აქამდე TAEX პროგრამის ფარგლებში საქართველოში 10 პროექტი განხორციელდა.

პროგრამის მიზნები:

საჯარო ადმინისტრაციის გაძლიერება, ევროკავშირის სტანდარტებთან კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა (EPS), განსაკუთრებით კი სამოქმედო გეგმის მიზანმიმართული კონსულტაციებით უზრუნველყოფა ხელშეწყობის, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დიდი და გრძელვადიანი TWINNING-ის (საჯარო სამსახურების დაძმობილების პროცესი) სახის პროექტების ფარგლებში პოტენციური თანამშრომლობის სფეროების იდენტიფიცირება, მეზობელ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის networking-ის სახის თანამშრომლობის გადრმავება.

პროგრამის მთავარი დაფალებები

- მოკლევადიანი ტექნიკური დახმარებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარი ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სფეროში კონსულტაციების უზრუნველყოფა.
- პარტნიორებისა და პარტნიორ ქვეყნებში გარკვეულ სივრცეში მოქმედი ერთეულების თანასწორი ინტიტუტების მიერ სწავლებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა
- შეამავლობა ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაში
- პარტნიორი ქვეყნების მონაცემთა ბაზითა და იმ ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, რომლებიც აადვილებენ და იძლევიან წინსვლის მონიტორინგის, ასევე ტექნიკური დახმარების სფეროში შემდგომი მოთხოვნების დადგენის შესაძლებლობას.

ბენეფიციარები⁸

TAEX თავისი დახმარებით მოიცავს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორებს, რომლებიც ამ კანონმდებლობის გადატანის, დანერგვის, აღსრულების, გამოყენების როლს ასრულებენ. TAEX არ უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ცალკეული ფირმების პირდაპირ ხელშეწყობას. ძირითადი მიზნობრივი ჯგუფებია:

1. საჯარო სამსახურის მოხელეები, რომლებიც საჯარო ადმინისტრაციის ცენტრალურ დონეზე, ან ადგილობრივი ხელისუფლების გაერთიანებაში მსახურობენ;
2. სასამართლო ხელისუფლება და მართლწესრიგზე პასუხისმგებელი ორგანოები;

⁸ TAEX-ის ფარგლებში დახმარებით მოცული ქვეყნები (1) ევროკავშირთან მიერთების შემდგომ პირველ წლებში: ჩეხეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია; (2) ბულგარეთი, რუმინეთი, (3) კანდიდატი ქვეყნები: ხორვატია, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა – მაკედონია, თურქეთი (3) კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში თურქეთის კვიპროსის კავშირი; (4) დასავლეთ ბალკანეთი: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, სერბეთი და კოსოვო (გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1999 წლის 10 ივნისის №1244 რეზოლუციის განმარტების შესაბამისად); (5) ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნები: ალჟირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ისრაელი, იორდანია, ლიბია, ლიბანი, მოლდავეთი, მაროკო, პალესტინის ავტონომია, სირია, ტუნისი, უკრაინა და რუსეთი.

3. პარლამენტის წევრები და პარლამენტსა და საკანონმდებლო კომისიებში მომუშავე საჯარო სამსახურების მოხელეები;
4. პროფკავშირები და სავაჭრო კავშირები, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებრივ პარტნიორებს, პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა კავშირებს;
5. იურიდიული ტექსტების ინტერპრეტაციაზე, შესწორებასა და თარგმნაზე პასუხისმგებელი პირები.

როგორ წარვადგინოთ პროექტი?

პროექტებს ევროკავშირი 100%-ით აფინანსებს. ევროკომისია არ განსაზღვრავს განაცხადების შეტანის კონკრეტულ ვადებს, რაც ნიშნავს, რომ განაცხადების მიღება მუდმივად ხდება. პროცედურები მაქსიმალურად გამარტივებულია. დანართში 2 განთავსებულია 3 განაცხადის ფორმულარი, რომელიც შესაბამისად ეხება ექსპერტიზას, სასწავლო ტურებსა და სწავლების ორგანიზებას. პროექტზე განაცხადი უნდა გაკეთდეს პროგრამის ადმინისტრაციულ ოფისში (PAO - Programme Administration Office). ეს დაწესებულება ყველა ქვეყანაშია ჩამოყალიბებული. საქართველოში იგი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ნაწილია. პროექტის წარდგენა ასევე შესაძლებელია საქართველოში ევროკომისიის დელეგაციისათვის თანხმობის მიღების მიზნით. თუკი პროექტი პრიორიტეტების პროგრამას შეესაბამება და არ ემთხვევა სხვა დამხმარე პროგრამებს, ევროკომისიის დელეგაცია და PAO ბენეფიციენტს ეხმარებიან განაცხადის შევსებაში და სამმხრივად ათანხმებენ პროექტის საბოლოო ფორმას. დამტკიცების შემდეგ პროექტი იგზავნება გენერალურ დირექციაში – ევროკომისიის EuropeAid ბიუროში (ბრიუსელი), რომელიც დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. EuropeAid ბიურო ექსპერტებისთვის აცხადებს განაცხადების მიღებას, ე.ი. ბენეფიციარის მიერ გამოცხადებული პროექტის რეალიზაციისთვის ექსპერტების მიღების შესახებ. ამ კონკურსში საერთო პირობებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ევროკავშირის 27-ივე წევრი-ქვეყნის ექსპერტებს. შეირჩევა საუკეთესო შემოთავაზება. წინასწარ არ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რომელ ექსპერტთან სურს ბენეფიციარს თანამშრომლობა, რადგან შემოთავაზებულ ექსპერტებს კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსიდან გამორიცხვის საფრთხე ემუქრებათ. ევროკომისია, EuropeAid ბიურო და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში უზრუნველყოფენ მუდმივ კონსულტაციებს ექსპერტების მოძიებასა და განაცხადების შემუშავების საკითხებში.

<https://webgate.ec.europa.eu/europeaid/online-services/index.cfm?ADSSChck=1225444915146&do=publi.welcome&debpub=01%2F09%2F2008&orderby=upd&orderbyad=Desc&nbPubliList=25&page=2>

პროგრამა სთავაზობს სამი სახის განაცხადის გაკეთების შესაძლებლობას, რომლებიც შემდეგ მოქმედებების ეხება:

1. განაცხადი ექსპერტიზაზე

ექსპერტები მივლინებულ იქნებიან პარტნიორ ქვეყნებში სამართლებრივი აქტებისა და *acquis communautaire* (გაერთიანების სამართლებრივი მონაპოვარი) განმარტების ან ადმინისტრაციული უფლებამოსილების, მათი გათავისებისა და მოთხოვნის საკითხებში კონსულტაციების ჩატარების მიზნით.

ექსპერტების მისია იმ ქვეყანაში, რომელიც პროექტის ფარგლებში ამგვარი დახმარებით სარგებლობს, მაქსიმალურად 5 დღე შეიძლება გაგრძელდეს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კანონპროექტების თაობაზე რჩევების მიღებასა და ადმინისტრაციის მოქმედების გამოსწორებას, კონსულტაციებს სამართლებრივი აქტების, მათი დანერგვის, ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის ახსნის ან წარმატებული პრაქტიკის პოპულარიზაციის თემაზე.

2. განაცხადი სასწავლო ტურზე

ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში სასწავლო ტურებმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის ბენეფიციარი ქვეყნის ადმინისტრაციის წამომადგენლებისათვის წევრი-ქვეყნების მიერ სამართლებრივი ნორმების დანერგვასა და აღსრულებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდებისა და თანამშრომლობის კონკრეტულ სფეროებში სხვადასხვა სუბიექტთან ურთიერთქმედების გაცნობა. ვიზიტი უნდა გრძელდებოდეს 5 დღემდე, ხოლო დელეგაცია შედგებოდეს ბენეფიციარი ქვეყნის არა უმეტეს 3 წარმომადგენლისგან.

3. განაცხადი სწავლებაზე/სემინარზე

სწავლება ან სემინარი უნდა ჩატარდეს დახმარების ბენეფიციარ ქვეყნებში, ე.ი. საქართველოში და მაქსიმუმ 2 დღეს გაგრძელდეს. სწავლების მიზანი უნდა იყოს ევროკავშირის სამართლებრივი ნორმების პრეზენტაცია და განმარტება ამ ქვეყნისა და სხვა ქვეყნების ფართო საზოგადოებისთვის, თუკი წამოჭრილი საკითხები მათ ინტერესებსაც წარმოადგენს.

მოსალოდნელი შედეგები:

პარტნიორი ქვეყნებისთვის ეფექტური კონსულტაციის გაწევა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, წევრი-ქვეყნების ექსპერტების მიერ ევროკავშირის პოლიტიკისა და სამართლის თემაზე აქტუალური ინფორმაციების მიწოდება, სამართლებრივი მონაპოვარისა და ევროპული სტანდარტების უკეთესად გააზრება, თანამშრომლობის განმტკიცება, სამართლებრივი წესდების ერთგვაროვნების გაუმჯობესება, ევროკავშირის სტანდარტებთან მათი მისადაგების გათვალისწინებით, ყველა სტანდარტის მიღების მიზნით. პროგრამის TAEX მონაცემთა ბაზისა და პროგრამის ვებ-გვერდის გამოყენებით აქტუალური ინფორმაციების გამოქვეყნება.

საქართველოში პროგრამის TAEX ფარგლებში განხორციელებული პროექტები:

- 1) **2006 წლის 2 ოქტომბერი (თბილისი)** სემინარი ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრების, ევროკავშირის წევრი-ქვეყნებისა და რეგიონული კომისიის OIE (ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია) წევრების საერთო ინიციატივებისა და დიალოგის თემაზე.
- 2) **2007 წლის 29 მარტი (თბილისი)** საერთაშორისო კონფერენცია „სამხრეთ კავკასია გლობალური გამოწვევების წინაშე: ნარკოტიკების კონტრაბანდა და საერთაშორისო ტერორიზმი“
- 3) **2007 წლის 4 ივნისი (თბილისი)** სემინარი თემაზე პესტიციდების შემცველი ნარჩენები

- 4) 2007 წლის 22 ოქტომბერი (თბილისი) ექსპერტების მისია გრუნტიტ გაწონასწორებული მართვა
- 5) 2007 წლის 17 დეკემბერი (თბილისი) არბიტრაჟი – კამათი/დისპუტი თემაზე საქართველოსა და ევროპაში კონფლიქტის მოწესრიგების მექანიზმები
- 6) 2008 წლის 3 მარტი (თბილისი) ექსპერტების მისია თემაზე ცხოველების იდენტიფიცირება და რეგისტრაციის სისტემები
- 7) 2008 წლის 9 ივნისი (თბილისი) ექსპერტების მისია სამოქალაქო ავიაციის სფეროში
- 8) 2008 წლის 25 ივნისი (თბილისი) სემინარი თემაზე მობილურობა
- 9) 2008 წლის 26 ივნისი (ბათუმი) სემინარი თემაზე გარე საზღვრების ეფექტური დაცვის სისტემები
- 10) 2008 წლის 22 ივლისი (თბილისი) ექსპერტიზა თემაზე ბოლონის პროცესის რეფორმის ეფექტური დანერგვა⁹

4.1.2 პროგრამა SIGMA

პროგრამის SIGMA მიზანია ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში საჯარო ადმინისტრაციის გაძლიერება, ეკონომიკური სიტუაციის, პოლიტიკური თავისუფლების გამოსწორების მიზნით ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გამარტივება. პროგრამა SIGMA საქართველოსთვის ხელმისაწვდომია 2008 წლის ივნისიდან. აქამდე საქართველოში ამ პროგრამის ფარგლებში რაიმე პროექტი არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი საკითხები სხვა ქვეყნებში SIGMA-ს დანერგვის მიმდინარეობას ეყრდნობა.

პროგრამა SIGMA პარტნიორ ქვეყნებს ეხმარება მათ ძალისხმევაში გაათანამედროვეონ ადმინისტრაციის მართვა, რასაც თან ახლავს ინსტიტუტების როლის გაძლიერების პროცესი და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოების შექნა. პროგრამის SIGMA მართვის კოორდინაცია ევროკომისიის EuropeAid ბიუროს გენერალური დირექციისა და OECD (ინგ. Organisation for the Economic Co-operation and Development) მიერ ერთობლივად ხდება. პროგრამას ევროკავშირი აფინანსებს.¹⁰

ბენეფიციარები:

ამჟამად SIGMA ეხმარება ევროკავშირის ორ წევრ-ქვეყანას: ბულგარეთსა და რუმინეთს, კანდიდატ ქვეყნებს, ევროკავშირში გაწევრიანების პოტენციურ კანდიდატებს დასავლეთ ბალკანეთიდან, ხოლო 2008 წლის ივნისიდან ასევე ევროკავშირის მეზობელი ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს.

პროგრამის ძირითადი ამოცანები

⁹ წყარო: www.taiex.ec.europa.eu

¹⁰ წყარო: პროგრამის მმართველი ორგანოს ვებ-გვერდი ე.ი. OECD

- რეფორმების წინსვლის შეფასება და სარეფორმო სფეროების დადგენა
- ინსტიტუტების შესაძლებლობის გაზრდისა და სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის წინსვლის შეფასება
- ევროკავშირისა და სხვა წყაროებიდან დამხმარე სახსრების ხელმისაწვდომობის გამარტივება პროექტების შექმნისა და სამოქმედო გეგმების დანერგვის დახმარებით.

შესაძლებელია პროგრამის მესამე ამოცანა, ე.ი პროექტების მომზადებაში დახმარება, აღმოჩნდება თვითმმართველობის მიერ ამ პროგრამის სახსრების გამოყენების შესაძლებელი ხერხი. ქვემოთ წარმოვიდგინოთ პროგრამის აქამდე მონაპოვარს.

SIGMA რეფორმების პროცესებს 9 თემატურ სფეროში ეხმარება

- 1. რეფორმების დაპროექტება და დანერგვა:** საჯარო ადმინისტრაციის სფეროში სტრატეგიული რეფორმის დაპროექტება, დახმარება ისეთი სტრუქტურის შექმნაში, რომელსაც შეუძლია სასურველი სახელმწიფო რეფორმის დანერგვა და მონიტორინგი. ხშირ შემთხვევაში ამ სფეროებში ჭარბობს პროექტები: მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი, განვითარებადი მოთხოვნების შეფასება, პოლიტიკის ფორმულირების ფარგლებში კონსულტაციები, ევროპული ადმინისტრაციული სივრცის სტანდარტების დანერგვაში დახმარება.
- 2. გარე აუდიტი:** დახმარება აუდიტის უმაღლესი რანგის ინტიტუტის შექმნასა და უკვე არსებული ინსტიტუტის გაძლიერებაში (ინგლ. Supreme Audit Institutions) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და წარმატებული ევროპული პრაქტიკის შესაბამისად.
- 3. საფინანსო კონტროლი:** საჯარო ფინანსების სექტორში ფინანსების კონტროლის შიდა მექანიზმის, ასევე სისტემებისა და პროცედურების შექმნაში დახმარება, არსებული კონტროლის პროცედურებსა და ამ დარგში არსებული სამართალში ნაკლოვანებების აღმოჩენა. სამართლებრივი ცვლილებების პროექტები, რომლებიც მოიცავს: სტრატეგიული გეგმების მომზადებას, ფინანსების მართვასა და სახსრების გამცემი ერთეულების კონტროლის სისტემებს, ფუნქციის ცენტრალიზებას კონტროლის ჩატარებისა და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის შერწყმის მიზნით, შიდა აუდიტს, რისკის მართვას, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო ადმინისტრაციული ერთეულების ფინანსურ კონტროლს, საბიუჯეტო და საბუღალტრო კონტროლს
- 4. სამართლებრივი ჩარჩოები, სამოქალაქო სამსახური და მართლმსაჯულება**
საზოგადოებრივი სექტორის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დარგის ანალიზი, ცენტრალურ დონეზე საჯარო ადმინისტრაციის ორგანიზაციების, საჯარო ადმინისტრაციის სტრუქტურებზე სახელისუფლებო ორგანოების გავლენის შეფასება, საჯარო ფონდების კონტროლი, ადმინისტრაციის მართვის სისტემის ადეკვატურობის შეფასება მოქალაქეების მოლოდინთან მიმართებით, სამოქალაქო სამსახურის რეფორმის მდგრადობა, სამოქალაქო სამსახურის რეფორმაში ევროკავშირის დახმარების გრძელვადიანი ეფექტურობის შეფასება, საერთაშორისო სემინარებზე ინფორმაციის გავცლა

საზოგადოებრივ სექტორში ხარისხის მართვის სფეროზე, საჯარო მოხელეთა ანაზღაურების სისტემა და რეფორმა, პროფესიული საჯარო სამსახურის შექმნა და ა.შ.

5. **პოლიტიკური განზომილება და კოორდინაცია:** პოლიტიკური და სტრატეგიული პოტენციალის გაძლიერება, ცენტრალურ დონეზე კოორდინირების მექანიზმების დადგენით, ამ სივრცეში მოქმედებებმა უნდა უზრუნველყოს მინისტრების დონეზე სექტორული პოლიტიკის ერთგვაროვნება.
6. **საჯარო გასავლის მართვა:** ექსპერტიზები საჯარო გასავლის მართვის სფეროს 2 ძირითად დარგში: ბიუჯეტი და სახსრების ლოკალიზება და სახელმწიფო ხაზინა. ანალიზის დაწვრილებითი სივრცე ემთხვევა: ბიუჯეტის დამუშავებასა და ანალიზს, ბიუჯეტის დამუშავების სისტემებს, ბიუჯეტის შუალედურ დაგეგმარებას, ბიუჯეტის შესრულებას, ბიუჯეტის შესრულების პროცესში ინფორმატიკულ დახმარებას, საბუღალტრო სისტემების, საჯარო ფინანსების, სახსრების, ასევე დავალიანების მართვას.
7. **საჯარო ერთიანობის სისტემა:** საჯარო ერთიანობის სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კარგ მართვასა და გაუმკლავდება კორუფციის შემთხვევებს, წაადგება სისტემური და ინდივიდუალური საზოგადოებრივი სექტორის ეთიკური ქცევის მოდელის განვითარებას, ინტერესთა კონფლიქტის შედარებით გამოკვლევას. ეს საკითხები ემსახურება ქვეყნის ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავებას და სემინარების სახით წარმოდგენილ იქნა რამდენიმე ქვეყნაში.
8. **საჯარო დაკვეთა:** საჯარო დაკვეთის ეროვნული სისტემების ანალიზი, ამ სისტემების ევროკავშირში არსებულ პრინციპებთან დაახლოება, რეფორმების პროექტი, სამართლებრივი ექსპერტიზები და ცენტრალურ დონეზე კონსულტაციები, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა, სხვადასხვა ქვეყნიდან მონაწილეებისთვის კონფერენციების, სემინარებისა და სწავლების ორგანიზება.
9. **კერძო სექტორში წესდებების გამოსწორება:** ამ სექტორში არსებული წესდებების გამარტივება, პარტნიორი ქვეყნების ადმინისტრაციის გადამწყვეტილების მიმღებ პირებთან და პრაქტიკოსებთან ინდივიდუალური მოთხოვნების თანახმად თანამშრომლობა.

ამოცანების შესრულების ხერხები:

- რჩევები რეფორმების სფეროში, სტრატეგიული განვითარების გეგმების შექმნა და დანერგვა
- კანონების მეთოდოლოგიის, სისტემებისა და ინსტიტუტების ანალიზი და შეფასება
- მეთოდოლოგიური, სტრატეგიული და ტექნიკური ჩანაღები ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული დახმარების ოპტიმიზაციისათვის
- თანამშრომლობის ქსელის ხელშეწყობა
- სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები
- სწავლებები

პროგრამის განხორციელების ძალიან ადრეული ეტაპიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ დაწყებულა პროექტების თავმოყრის პროცესი. სავარაუდოდ,

ამ პროცედურასაც კოორდინირებას გაუწევს საქართველოში ევროკომისიის დელეგაცია.

4.13 პროგრამა TWINNING (საჯარო სამსახურების დაძმობილების პროცესი)

Twinning შემდეგი ინიციატივაა, რომლის მიზანია დახმარება ევროკავშირის კანონმდებლობის დანერგვისათვის აუცილებელი კომპეტენციისა და გამოცდილების მიღებაში. თუმცა, პროგრამის TAIEX მაგალითზე, წარმატებული პრაქტიკის სფეროში შესაძლებელია უფრო მოქნილი დახმარება. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს ორივე ელემენტის გაერთიანებას: საჯარო სექტორის ექსპერტიზებს, ისევე როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის გამაღრმავებელი მოქმედებების გაძლიერებას, რამაც უნდა ხელი შეუწყოს ოპერაციულ დონეზე კონკრეტული შედეგების მიღწევას სამოქმედო გეგმის მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ფარგლებში. საჭიროა მოქმედება პრინციპით, რომლის თანახმადაც Twinning-ის სახის პროექტი სისტემური ხასიათის პრობლემებს უნდა წყვეტდეს.

პროგრამის Twinning ბიუჯეტი შედის ქვეყნის კომპონენტში. მისი 2007 წლის წლიური გეგმის თანახმად, საქართველოს შეუძლია ისარგებლოს 4 მლნ ევროთი. 2008 წლის პროგრამისათვის განისაზღვრა თანხის 4,8 მლნ ევრომდე გაზრდა. ევროკომისიის მოსაზრებით, ეს დამაკმაყოფილებელი სახსრებია და არ აღემატება ბენეფიციარების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს.

ევროკომისია ეყრდნობა წევრი-ქვეყნების თანამშრომლობის სურვილსა და ადმინისტრაციულ გამოცდილებას, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენს ცენტრალური დონის, ადგილობრივი ან საჯარო სექტორის სხვა ორგანიზაციების ექსპერტების მოძიება. ეს პროექტები ეყრდნობა წევრი-ქვეყნიდან სულ ცოტა ერთი ექსპერტის სამუშაოდ მივლინებას დახმარებით მოსარგებლე ქვეყნის ადმინისტრაციაში მთელ განაკვეთზე სამუშაოდ. ამ შემთხვევაში ექსპერტს უწოდებენ რეზიდენტ-მრჩეველს პროგრამის Twinning საკითხებში (ინგლ. Resident Twinning Advisor) და ევროკომისიისაგან უნდა მიიღოს წინასწარი აკრედიტაცია. სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყანაში ექსპერტმა უნდა დაეოს შეუწყვეტილ სულ ცოტა 12 თვე. რეზიდენტის გარდა, აღნიშნული პროექტი კოორდინირებული უნდა იყოს იმ წევრი-ქვეყნის ადმინისტრაციის მიერ, საიდანაც მივლინებულია რეზიდენტი. პროექტის კოორდინატორი უნდა იყოს მაღალი კლასის ექსპერტი, რომელსაც პროექტით გათვალისწინებული შედეგების მიღება შეეძლება. ის დასაქმებული უნდა იყოს წევრი-ქვეყნის ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, ხოლო თავისი სამუშაო დროის მონაკვეთის ნაწილი უნდა დაუთმოს პროექტის კოორდინირებას. წევრი-ქვეყნის მხრიდან პროექტის ლიდერი პროექტს უნდა უთმობდეს თვეში სულ ცოტა 3 დღეს დახმარებით მოსარგებლე ქვეყანაში სულ ცოტა 3 თვეში ერთხელ ვიზიტების ჩათვლით.

პროექტი შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს დამატებით მოქმედებებს სხვა ინსტიტუტების ჩართვით, მაგ. სემინარებს, სწავლებას, ექსპერტების მისიასა თუ კონსულტაციებს.¹¹ პროექტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შედეგების კონცეფციას, რომელიც პროექტის განხორციელების შედეგად უნდა იქნეს

¹¹ წყარო: http://ec.europa.eu/europeaid/where/neighbourhood/overview/twinning_en.htm

მიღწეული. პროექტის პარტნიორები კისრულობენ ვალდებულებას, ერთობლივად მიაღწიონ განსაზღვრულ განზომილებად და ზუსტ მიზნებს. პროექტი უნდა ეყრდნობოდეს დოკუმენტებში აღნიშნულ დარგებს და მისი ელემენტები ერთგვაროვანი უნდა იყოს, უნდა ეყრდნობოდეს ორივე ადმინისტრაციის აქტიურ თანამშრომლობას. პარტნიორ ქვეყანაში არსებულ ორგანიზაციას უნდა შეეძლოს პროექტის განხორციელება მისი სტატუსის, მოქმედებისა და პროექტში სასურველი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობების გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში დახმარებით მოსარგებლე ქვეყანა ინარჩუნებს სრულ უფლებას მის შედეგებზე. ევროკავშირსა¹² და მეზობელ ქვეყანას შორის ორმხრივ შეთანხმებაში ასახული მიზნების განხორციელების გარდა, პროგრამამ Twinning დამატებით ხელი უნდა შეუწყოს სრულყოფილი რეფორმების შემუშავებას ან წარმატებული პრაქტიკის დანერგვას. პროექტის რეალიზაციის დასასრულს ახლად შემუშავებული სისტემა უნდა იყოს სრულიად თვითმყოფადი და მოქმედებდეს აღნიშნულ ქვეყანაში. გარდა ამისა, პროექტი უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ ელემენტებს, რომლებიც ევროკავშირის კანონმდებლობის დანერგვისკენ არის გამიზნული. თუმცა, აქ იგულისხმება უფრო დახმარებით მოსარგებლე ქვეყნის საკანონმდებლო სისტემის დაახლოება, ვიდრე მისი სრული ინტეგრაცია.¹³ ასევე შესაძლებელია Twinning ტიპის პროექტებში ადგილობრივი პარტნიორების მონაწილეობა, მაგრამ ისინი უნდა წარმოადგენდნენ საჯარო ადმინისტრაციის ერთეულებს, რომლებსაც აქვთ მეზობელ ქვეყანაში არსებულ იმ ორგანიზაციასთან ამგვარი თანამშრომლობის დაწყების შესაძლებლობა, რომელსაც იგივე, მსგავსი სტრუქტურა და ფუნქციები აქვს. დახმარებით მოსარგებლე ქვეყანა ადაპტაციის უნარისა და პროექტით შემოთავაზებული ცვლილებებისა თუ სისტემების გაუმჯობესების დანერგვის გარანტიას უნდა იძლეოდეს.

პროგრამის მართვა

პროგრამა- Twinning მართვაზე პასუხისმგებელია ინსტიტუტი, რომელიც ატარებს სახელს PAO (Programme Administration Office) ეს ინსტიტუტი ყველა ქვეყანაში იხსნება. საქართველოში ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში შედის. სამაგიეროდ, წევრ-ქვეყნებში ეროვნული საკონტაქტო ბიუროები პასუხისმგებელი არიან პროექტების მიღების შესახებ განცხადებებისა და შესაბამისი ინსტიტუტებისათვის მათი მიწოდების მონიტორინგზე. ძირითადად განაცხადების ჩაბარებისა და პროექტის მომზადების პროგრამის Taix მსგავსად ხდება. Twinning-ის სახის პროექტები ძალიან რთულია და ხშირად უკვე პროექტის შემუშავების პირველსავე ეტაპზე საჭირო ხდება ექსპერტის დახმარება.

როგორ წარვადგინოთ პროექტი?

¹² Partnership and Co-operation/Association Agreement, UE-Beneficiary Country and the European Neighbourhood Policy (ENP), Action Plan and National Indicative Programme (NIP)

¹³ სრული საკანონმდებლო სისტემების ინტეგრაცია ეხება მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნებს.

პროექტებს 100%-ით აფინანსებს ევროკავშირი. აღნიშნული პროექტი ევროკომისიის მიერ არის დაფინანსებული, ხოლო დახმარებით მოსარგებლე ქვეყანა უნდა დაეხმაროს მის განხორციელებაში ადამიანური რესურსების, საოფისე შენობების გამოყოფითა და თარჯიმნების უზრუნველყოფით. კომისიის დელეგაციასთან, PAO პროექტის კონსულტაციებისა და შემდეგ მისი ბრიუსელში EuropeAid ბიუროში გადაგზავნის პროცედურა მსგავსად გამოიყურება, როგორც პროგრამაში Taiex. თუმცა, ბენეფიციარს შეუძლია ჰქონდეს უფრო მეტი დახმარების მიღების იმედი პროექტის მომსამზადებელ ეტაპზე მის მიერ დასახული მიზნების შემუშავებაში, აღნიშნულ სფეროში ექსპერტების დასაქმებასთან ერთად. განაცხადები და პროგრამაში მოქმედი პროცედურების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება სახელმძღვანელოში “Common Twinning Manual”, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/enlargement/pdf/financial_assistance/institution_bulding/final_version_of_the_manual_060707.pdf

რა არის წარმატებული პრაქტიკა?

„წარმატებულ პრაქტიკას“ ვუწოდებთ ინოვაციურ პროექტებს, რომლებიც წარმატებით განხორციელდა ქვეყნებსა თუ რეგიონებში. იგი არის კონკრეტული პრობლემატიკის პრაქტიკულად გადაჭრის საშუალება და მოაქვს გარკვეული დადებითი შედეგები. შეუძლებელია მათი მნიშვნელობის უგულებელყოფა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში გამოყენებული პრობლემატიკის გადაწყვეტის მეთოდის გადმოღებაა შესაძლებელი. ეფექტურად გამოიყენება შესაძლებლობები, რომლებიც გამოსადეგია მრავალ ორგანიზაციაში. წარმატებული პრაქტიკა უნდა იყოს შედეგის მომტანი, ეფექტური და უნივერსალური, იძლეოდეს ორგანიზაციების მრავალწლიანი გამოცდილებისა და საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი ექსპერტების გამოყენების საშუალებას.

საჭირო კონტაქტები:

ნინო ყოჩიშვილი (Taiex, Twinning)
European Commission’s Delegation to Georgia
38, ნინო ჩხეიძის ქ. თბილისი 0102, საქართველო
ტელ: (+995 32)94 37 63, ფაქსი: (+995 32) 94 37 68
E-mail: Delegation-Georgia@ec.europa.eu
<http://www.delgeo.ec.europa.eu>

4.2 პრიორიტეტი 2.

უმადლესი სწავლებისა და სტუდენტების მობილურობის ხელშეწყობა

სწავლების დონის ამაღლება და სტუდენტების მობილურობის გაზრდა ევროგაერთიანებასა და მეზობელ ქვეყნებს შორის წარმოადგენს რეგიონთაშორისი პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ადამიანთა შორის კავშირების საკითხს, ე.წ. People to people სფეროში. სტუდენტებისა და მეცნიერების მობილურობის გაზრდის პროექტში

დიდი ყურადღება ექცევა სწორედ ამ იდეის განხორციელებას. ორივე პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისათვის არის განკუთვნილი.

4.2.1. უმაღლეს სასწავლებლებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელშეწყობა

ამ ჩანაფიქრის მიზანია ევროგაერთიანების უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის შედეგად უმაღლესი სწავლების მოდერნიზაცია და გაძლიერება. ამ დავალების აღმასრულებელი ინსტრუმენტია პროგრამა Tempus. მიმდინარე, მეოთხე გამოშვება მოიცავს 2007-2013 წლებს. პროგრამის განხორციელება დაიწყო 1990 წელს. საქართველო მასში 1996 წლიდან მონაწილეობს. საქართველოში დღევანდელ დღემდე განხორციელებული პროექტების დაწვრილებითი ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მითითებულ ინტერნეტ-გვერდზე:

<http://ec.europa.eu/education/programmes/tempus/countries/projects/georgia.pdf>

პროგრამის ძირითადი მიზნები სამ ჯგუფად დაიყო:

ჯგუფი 1. სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია: სამსაფეხურიანი სწავლება ECTS¹⁴ სისტემის დანერგვა და დიპლომების აღიარება, სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია (მხოლოდ განსაზღვრულ სამეცნიერო დარგებში);

ჯგუფი 2. სასწავლებლის მართვის მოდერნიზაცია: სასწავლებლის მართვის სისტემის გარდაქმნა, სტუდენტების მომსახურების სისტემის გარდაქმნა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების დანერგვა, სასწავლებლის ფინანსური ავტონომიის დანერგვა. უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

ჯგუფი 3. უმაღლესი სწავლება და საზოგადოება: კურსები არააკადემიური სექტორის წარმომადგენელი სასწავლო კადრებისათვის, საწარმოებთან ურთიერთთანამშრომლობის განვითარება, „ცოდნის სამკუთხედში“ (განათლება, სამეცნიერო კვლევა და ინოვაცია) არსებული ურთიერთკავშირების განმტკიცება, კვალიფიკაციის სტრუქტურების ჩამოყალიბება.

ბენეფიციარები:

პროგრამა Tempus ბენეფიციენტები ანუ მხარეები, რომლებიც პროგრამის დანერგვით ისარგებლებენ, პარტნიორი ქვეყნების დაწესებულებები არიან. ევროგაერთიანების წევრ-ქვეყნებს აქვთ მეწილეს სტატუსი. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევ ერთეულებს განეკუთვნებიან:

¹⁴ ECTS – წარმოადგენს პუნქტების ევროპულ სისტემას, რომლებიც სტუდენტებს გარკვეული საგნების ჩათვლისათვის ენიჭებათ.

- სახელმწიფოს მიერ აღიარებული სასწავლებლები ევროგაერთიანებასა და პარტნიორ ქვეყნებში;
- თანამეგობრობები და ქსელები/სასწავლებელთა კონსორციუმი;
- სახელმწიფოს მმართველი აპარატი (სამინისტროები, ცენტრალური და რეგიონული სამსახურები);
- შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო რექტორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების თანამეგობრობები/კონფერენციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სახელმწიფო და კერძო საწარმოები.

პროექტები შეიძლება განსაზღვრული იყოს მხოლოდ ერთი (ინგლ. national projects) ან მრავალი სხვა ქვეყნის (ინგლ. multi-country projects) დაწესებულებების მონაწილეობისათვის. თუ აღნიშნულ პროექტს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს, იგი სულ ცოტა 6 პარტნიორის ურთიერთთანამშრომლობაზე უნდა იყოს გათვლილი. საქართველოს ან სხვა მეზობელი ქვეყნების მაგალითზე, პროექტში მონაწილეობას უნდა იღებდეს სულ მცირე სამი აკადემიური ან არაკადემიური სასწავლებელი. თუ პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის არის განსაზღვრული, კონსორციუმის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სულ ცოტა 5 პარტნიორი, მათ შორის, მეზობელი ქვეყნის სულ მცირე 1 სასწავლებელი და ორი სასწავლებელი ევროგაერთიანების წევრი 2 სხვადასხვა ქვეყნიდან.

როგორი პროექტების წარდგენა შეიძლება?

პროგრამა Tempus IV ფარგლებში ხორციელდება ორი სახის პროექტი:

- ერთობლივი ევროპული პროექტები (ინგლ. Joint Projects) , რომლებიც ოთხიდან ერთ სფეროს ეხება: სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციას, სასწავლებლების მართვის მოდერნიზაციას, უმაღლეს სწავლებასა და საზოგადოებას, თემატურ ქსელებს.
- სტრუქტურული და შემავსებელი საშუალებები (ინგლ. Structural Measures), რომლებიც ორიდან ერთ-ერთ სფეროს ეხება: სასწავლებლის მართვის მოდერნიზაციას, უმაღლეს სწავლებასა და საზოგადოებას. ეს პროექტები სისტემურ ცვლილებებს უნდა მოიცავდნენ.¹⁵

Tempus IV არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ სტიპენდიებსა და სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას. განხორციელებადი პროექტის ფარგლებში დასაშვებია დასაბუთებულ შემთხვევაში სტუდენტებისა და მეცნიერთანამშრომელთა მოკლევადიანი გადაადგილება. 2007 წლისათვის პროექტში მონაწილეობის მსურველთა მიერ განცხადებების შეტანის პირველი ნაკადი 2008 წლის დასაწყისში იყო. პროექტების განხორციელებისათვის საჭირო თანხების საერთო მოცულობა 55,55 მლნ. ევროს გაუთანაბრდა. ENPI-ის აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებისათვის 11 მლნ. ევრო განისაზღვრა. საქართველომ ამ თანხის სულ მცირე 3%-ით ისარგებლა. პარტნიორი

¹⁵ www.tempus.org.pl -ზე დაყრდნობით

ქვეყნების დაფინანსების მინიმალური თანხა 500.000 ევროს უდრის, ხოლო მაქსიმალური – 1,5 მლნ ევროს. პროექტის რეალიზაციისათვის განკუთვნილი მაქსიმალური ვადა 36 თვეა. განსაკუთრებულ შემთხვევებში ბენეფიციარის თხოვნის საფუძველზე პროექტის განხორციელების ვადა მომდევნო 12 თვით შეიძლება გაგრძელდეს. დაფინანსების მოთხოვნის განცხადებისათვის თანდასართავი დოკუმენტების ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ მითითებულ ინტერნეტ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/education/programmes/tempus/call08_en.html, სადაც აგრეთვე განცხადებების შეგროვების წინამდებარე ვადა გამოცხადდა.

საჭირო კონტაქტები:

თამარ წულუკიძე

Tempus-ის საერთაშორისო ოფისი

ი. ნიკოლაძის ქ. 5ა, VI სადარბაზო, ოთახი 110,
0179 თბილისი, საქართველო

ტელ.: 99532 235423, ფაქსი: 99532956166, მობილური: 99599565115

ელ-ფოსტა: TIP.Georgia@caucasus.net

4.2.2. სტუდენტების გადაადგილების ხელშეწყობა

სტუდენტების, დოქტორის ხარისხის მაძიებლების, აკადემიური კადრისა და სხვ. გადაადგილება ხორციელდება პროგრამის Erasmus Mundus External Cooperation Window ფარგლებში. Erasmus Mundus-ის მიზანია უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ამასთან, საუნივერსიტეტო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, ევროპაში საუკეთესო უცხოელი სტუდენტების მოზიდვა. პროგრამის მიზანს არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს „ტვინების გადინება“, არამედ ცოდნის გაღრმავება და პარტნიორ ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაცვლა. ამის გარდა, სასტიპენდიო პროგრამის შექმნა, მდებრობითი და მამრობითი სქესის მონაწილეთა თანაბარი რაოდენობა მიზნად ისახავს ურთიერთგაცვლას, სტუდენტთა წარმოშობის ქვეყანაში მათ დასაქმებასა და, ამასთან, პარტნიორი ქვეყნებისა და ევროგაერთიანების უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაუმჯობესებას. ამჯერად მიმდინარეობს ახალი, 2009-2013 წლების მომცველი პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები. Erasmus Mundus II-ის (2009-2013 წლები) მეორე ფაზა სამ ეტაპად განხორციელდება: 1. მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მოპოვების სასწავლო პროგრამები, 2. Erasmus Mundus-ის თანამშრომლობის პროგრამები, 3. ევროპული უმაღლესი სწავლების გაცნობისა და გავრცელების საინფორმაციო ღონისძიებები. დამატებით გაიზრდება სტიპენდიები და გაიოლდება ვიზების მოპოვება.¹⁶

მოსალოდნელი შედეგები:

¹⁶წყარო: Marielle de Sarnez (ALDE, FR) Sprawozdanie ws. Programu Erasmus Mundus (2009 –2013)

- პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის 2007/2008 სასწავლო წლისათვის გაცვლის სისტემის ჩამოყალიბება;
- 2009 წლის დასაწყისიდან მკაფიო საფუძვლების მიხედვით მინიჭებული 1000 სტიპენდია;
- მშობლიურ ქვეყნებში დაბრუნებული სტუდენტები, რომლებიც იოლად პოულობენ დასაქმების ადგილს და იცნობენ ევროპას;
- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის ურთიერთკავშირის ჩამოყალიბება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს მე-7 ძირითად (ჩარჩო) პროგრამაში ერთობლივ მონაწილეობას.

პროგრამის აღწერა:

შემოთავაზებული სასტიპენდიო პროგრამა დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნებისა და ევროკავშირის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა აქტუალურ მოთხოვნებზე. პროგრამა მიზნად ისახავს მონაწილე უმაღლეს სასწავლებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შექმნას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ პროგრამის განხორციელებასა და მყარი შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს პარტნიორი ქვეყნების სტუდენტებს, დიპლომირებულ მსმენელებს, დოქტორის ხარისხის მაძიებელებს და ხელს უწყობს მასწავლებელთა მიმოსვლასაც. პროგრამაში მონაწილეობის მიღების საჭირო წინაპირობაა მაღალი აკადემიური მოსწრება. სასტიპენდიო პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს სტიპენდიატების მშობლიურ ქვეყნებში დაბრუნებას. აგრეთვე უნდა ჩამოყალიბდეს შერჩევის მტკიცე პროცესი. სტიპენდიის მინიჭების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი იქნება აკადემიური მოსწრება. ისეთი საკითხები, როგორცაა გეოგრაფიული მდებარეობა, თანაბარი პირობები ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის, ინვალიდთა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა ასევე იქნება გათვალისწინებული. სტიპენდიის თანხა საკმარისი იქნება ცხოვრების პირობების თვალსაზრისით არსებული განსხვავების დაფარვისთვის. სტუდენტებს, რომელთაც მაგისტრის წოდება ჯერ არ მოუპოვებიათ, შეუძლიათ 6-10 თვის ვადით მოითხოვონ სტიპენდია. დოქტორის ხარისხის მაძიებელებსა და მეცნიერებს შეუძლიათ გაემგზავრონ სამეცნიერო მივლინებით 34 თვემდე ვადით.

აკადემიური თანამშრომლობის მოზრდილ პროგრამებს პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები ადგენენ. 2006 წელს ასეთი პროგრამა 24 ქვეყანას მოიცავდა. დამატებითი დაფინანსება შეეხო 9 პროექტს, რომლებშიც 170 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა და რომლებმაც 2007/2008 სასწავლო წლებში 1800 სტუდენტსა და მეცნიერს მისცა სამეცნიერო მივლინებით გამგზავრების საშუალება. პროგრამის საშუალებები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ნაწილდება. პროგრამის მიმდინარე გამოშვების (მონაწილეობენ: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა 2,7 მლნ ევროს შეადგენს. შედეგად, საქართველოს სამი სასწავლებელი მონაწილეობს გაცვლით პროექტში საფრანგეთის, იტალიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, პორტუგალიისა და ლიტვის უნივერსიტეტებთან. საქართველოდან პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს 48 სტუდენტი. პარტნიორების ზუსტი ჩამონათვალი განთავსებულია ქვემოთითებულ ინტერნეტ-გვერდზე:

4.3 პრიორიტეტი 3

ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობის ხელშეწყობა

პრიორიტეტი 3 განხორციელდება მომდევნო ახალი პროგრამის სახით, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას ქალაქებისა და დიალოგის CIUDAD (ინგლ: Cooperation in Urban Development and Dialogue) განვითარების საკითხებში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართული 17 პარტნიორი ქვეყნის ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ორგანოებისა და ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ორგანოების თანამშრომლობას. ამ პროგრამის ამოცანა იქნება გამართული ადმინისტრაციისა და ქალაქების დაბალანსებული განვითარების ხელშეწყობა. პროგრამას CIUDAD საფუძვლად დაედო ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში პროგრამების MED'ACT, MED'PACT, MED'URB და აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში პროგრამების TCAS; IBPP; TACIS_TWANNIG განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილება.

პროგრამა ხელს შეუწყობს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, ასევე ქალაქებს შორის, განსაკუთრებით საშუალო დონეზე თანამშრომლობის განვითარების ინიციატივებს. მოქმედებები მიმართული უნდა იყოს ცოდნისა და გამოცდილების გადაცემისაკენ, განსაკუთრებით მართვის დემოკრატიული მეთოდების გათვალისწინებით, დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობისა და მდგრადი ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული განვითარებისა და გარემოს დაცვისაკენ. პრიორიტეტი 3-ის ფარგლებში თანამშრომლობა 3 თემატურ სფეროში მოიცავს:

დაბალანსებული გარემო და ენერგეტიკული კვლავწარმოება:

ამ თემატურ სფეროში მოხდება ძირითადი მომსახურების მოდერნიზაციის დარგში (მაგალითად, წყლით მომარაგება, კანალიზაცია და ნარჩენები) ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა.

დაბალანსებული ეკონომიკური განვითარება და სოციალური უთანასწორობის შემცირება:

ამ თემატურ სფეროში ძირითადი ყურადღება მიექცევა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ქალაქებში იჩენს თავს, მაგ. უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები, ქალაქების განსაზღვრულ უბნებში „იმიგრანტული“ მოსახლეობის თავმოყრა, საზოგადოებრივი მომსახურების დაბალი დონე. იმ ჯგუფების რიცხოვნების შემცირება, რომელთაც საზოგადოებიდან გარიცხვის საფრთხე ემუქრებათ და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაჯგუფების ერთგვაროვნების ზრდა წარმოადგენს იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს გამოცდილების გაზიარება და იმ სტრატეგიის

წარმოდგენა შეუძლიათ, რითაც მათ წარმატებას მიაღწიეს ან, პირიქით, წარუმატებლობა განიცადეს.

წარმატებული მართვა და დაბალანსებული დაგეგმვა:

ამ სფეროში ძირითადი ყურადღება მიექცევა მეზობელ ქვეყნებში ურბანიზაციის პროცესების დინამიკას, მაგ. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამხრეთ გეოგრაფიულ რეგიონში სოფლის მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებას ქალაქებში ან აღმოსავლეთით მოსახლდრე ქვეყნებში პოსტ-ინდუსტრიულ ცვლილებებს, რომლებიც სწირად უთანასწორობისა და დაძაბულობის მიზეზი ხდება. აღნიშნული ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ახალი კონცეფცია გარემოს დაგეგმარების სფეროში და, ამასთან, დაგეგმონ ახალი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ინტერესთა სფეროების სინთეზს.

აღნიშნული თემატური სფეროს ფარგლებში წარმოდგენილი პროექტები მოცემულ პრობლემატიკას უნდა ეხებოდეს და უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს, რეგიონულ და ადგილობრივ სტრატეგიებსა და პრიორიტეტებს.

ბენეფიციარები:

ამ პროგრამის ბენეფიციარებად ითვლებიან მეზობელი ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს პროგრამის მეწილის (ინგლ. Stakeholders) სტატუსი აქვთ.¹⁷ სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ პროექტის რეალიზაციიდან გამომდინარე, სარგებელი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებს რჩებათ. მხედველობაში მიიღება თანამშრომლობის 3 ტიპი: სამხრეთი-სამხრეთი (ანუ სულ მცირე ორი მეზობლად მდებარე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნის ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლების ორგანოები ევროკავშირის ნებისმიერი წევრი-ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობით), აღმოსავლეთი-აღმოსავლეთი (ანალოგიურად აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან 2 პარტნიორისა და ევროკავშირის ნებისმიერი წევრი-ქვეყნის მონაწილეობით) და აგრეთვე შერეული – აღმოსავლეთ-სამხრეთის თანამშრომლობა, რომელიც იმავე პრინციპებს დაეფუძნება.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება ასევე შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო ფირმებს, რომლებიც მოცემულ პროექტს თავიანთი მონაწილეობით შეაგსებენ. ამის გარდა, შესაძლებელი იქნება საჯარო და კერძო საკონსულტაციო დაწესებულებების მონაწილეობა,

¹⁷ პროგრამაში ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის მიზანია საზოგადოებრივი სოლიდარობა და პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე სახელმწიფოებთან.

რომლებიც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს აწვდიან ეკონომიკურ, ტექნიკურ, ინსტიტუციურ და პროექტების მართვის სფეროში ჩატარებულ ექსპერტიზებს. პროექტში შეიძლება აგრეთვე მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი, განსაკუთრებით კი კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. მათი როლი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის სამსახურის გაწევაში დღითიდღე იზრდება. ამასთან, პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების გადამწყვეტი როლი, ხოლო საზოგადოებრივი კონსულტაცია ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო მართვის მნიშვნელოვან ასპექტად უნდა იქნეს მიჩნეული.

პროექტების წარდგენა:

ამ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტები უნდა გამომდინარეობდეს მიმდინარე მოთხოვნებიდან და პრობლემებიდან, რომლებიც გადასაწყვეტი აქვთ მეზობელი სახელმწიფოების ადგილობრივ ორგანოებს. პროექტებს თავს უყრის ევროკომისია, კერძოდ კი EuropeAid-ის ოფისი. განცხადება პროექტების წარმოდგენის შესახებ გამოქვეყნდება 2008 წლის ნოემბრის დასაწყისში შემდეგ ინტერნეტ-გვერდზე:

<https://webgate.ec.europa.eu/europeaid/online-services/index.cfm?ADSSChck=1225444915146&do=publi.welcome&debpub=01%2F09%2F2008&orderby=upd&orderbyad=Desc&PubliList=25&page=2>

განცხადებაში მითითებული იქნება საჭირო დოკუმენტების სია, რომლებიც დააზუსტებენ დაფინანსებისათვის და პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი განაცხადის შეტანის წესებს¹⁸. ძირითადად ამ განცხადების ფარგლებში გასანაწილებელი იქნება 14 მლნ. ევროს ოდენობის თანხა. ევროკომისიას გადაწყვეტილი აქვს, რომ გეოგრაფიულად სამხრეთით მდებარე სახელმწიფოებმა მიიღონ 8 მლნ., ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები დაახლოებით 6 მლნ. ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას. პროექტის ვადა გაგრძელდება გრანტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3-4 წლის განმავლობაში. ამრგად, ამ ფინანსურ პერსპექტივაში ეს არის პროგრამის CIUDAD ფარგლებში გამოყოფილი საშუალებებით სარგებლობის ერთადერთი შესაძლებლობა.

(2013 წლამდე). საგრანტო პროექტის მაქსიმალური დაფინანსება მთლიანი ბიუჯეტის 80%-ს შეადგენს. განსაკუთრებულ შემთხვევებში 253-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ფინანსური რეგულირების ნორმების დანერგვას ეხება (ინგლ. Implementing Rules of the Financial Regulation), დასაშვებია მთლიანი დაფინანსების ანუ მოცემული ღონისძიების ბიუჯეტის 100%-ის გამოყოფა. ანაზღაურებადი დანახარჯები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: ტექნიკური დახმარება (სასწავლო ტურები, ექსპერტების მოკლევადიანი მისიები, კურსები

¹⁸ განაცხადების შეტანისა და პროექტების დანერგვის ძირითადი წესები მოცემულია სახელმძღვანელოში: Practical Guide to contract procedures for EC external actions. ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია დახმარების მრავალი პროგრამისათვის. ამის გარდა, ფართოდ გამოიყენება საგრანტო პროექტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, რომელიც განთავსებულია ქვემოთ მითითებულ ინტერნეტ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/europeaid/work/procedures/implementation/practical_guide/index_en.htm

და ა.შ.); ტექნიკური აღჭურვილობისა და სამუშაოების შექმნა, მხოლოდ განსაზღვრულ, პროექტის რეალიზაციისათვის აუცილებელ ფარგლებში; ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებიდან ექსპერტების მოწვევების განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც პროგრამით CIUDAD განსაზღვრულ თემებს უნდა ეხებოდეს, მაგრამ არ უნდა იმეორებდეს რეალიზებული პროგრამის თემატიკას.

საშუალებები, რომლებიც ამ პროგრამის ფარგლებში მოიპოვება, განხორციელებული მოქმედებების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ¹⁹

- განსაზღვრული პრობლემების გადასაწყვეტად გამიზნული ან მიმდინარე მოთხოვნებზე დაფუძნებული **საგრანტო პროექტები**, რომლებიც შეიძლება განაცხადების შეგროვების პროცედურის გზით, რასაც შესაბამისი განცხადება განსაზღვრავს. პროექტები, მათი ბენეფიციარები და ფინანსური დახმარების მოცულობა ზემოთ აღიწერა. ამგვარი დახმარების დაფინანსებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი 11 მლნ. ევროს შეადგენს.

- **დამხმარე მექანიზმი** ანუ მომსახურების ჯგუფი, რომელიც ხორციელდება ევროკომისიისა და დამკვეთს შორის დადებული უშუალო ხელშეკრულებების საფუძველზე. მათი მიზანია: ა) ტექნიკური დახმარება გრანტის მიმღებთათვის; ბ) პროექტების რეალიზაციის მონიტორინგი, რომელიც მთელ პროექტზე შთაბეჭდილების შექმნის საშუალებას იძლევა; გ) ევროკომისიის მუშაობის ხილულობის უზრუნველყოფა და პროექტების შედეგების გავრცელება საკუთრივ უკვე არსებული ქალაქებისა და რეგიონების თანამშრომლობის ქსელის გამოყენებით. ამ ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილია 3 მლნ. ევრო.

მოსალოდნელია, რომ განსაზღვრული პროექტების მართვა მათი განხორციელების დროს გამოყოფილი თანხების ბენეფიციარ ქვეყნებში არსებულ ევროკომისიის დელეგაციებს დაევალებათ.

4.4 პრიორიტეტი 4

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის დანერგვის ხელშეწყობა

ამ პრიორიტეტის მიზანია რუსეთთან სამეზობლო პოლიტიკისა და სტრატეგიული თანამშრომლობის ეფექტური და შედეგიანი დანერგვა. განსაკუთრებული ყურადღება ევროკავშირისა და თანამშრომლობაში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთა შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას მიექცევა.

მოსალოდნელი შედეგები:

¹⁹ წყარო: Action Fiche for [ENPI REGION/URBAN DEVELOPMENT]; AIDCO/ (2008) D/7217

- ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიზნების განხორციელების ხელშეწყობა რეგიონთაშორის დონეზე;
- რეგიონთაშორის დონეზე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გაგრძელება და სამეზობლო პოლიტიკის პოპულარიზაცია.

დახმარების ინდიკატორული პროგრამების განხორციელების ფარგლებში მოხდება რეგიონთაშორის დონეზე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეწყობის ინციატივების მხარდაჭერა. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმ პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას, რომლებიც მიზნად ისახავს რეგიონთაშორის დონეზე დახმარების ინდიკატორული პროგრამების ზოგიერთი ელემენტის დანერგვას.

ეს ღონისძიებები ასევე მიზნად ისახავს თანამშრომლობაში მონაწილე ქვეყნების მიერ ევროკავშირის პოლიტიკის გაგების გაზრდას. დახმარება ასევე შეიძლება გაეწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თავად ატარებენ საინფორმაციო კამპანიას, რამაც უნდა გაზარდოს აღნიშნულ რეგიონში ევროკავშირის მოცემული რეგიონისა და ევროკავშირის მიერ ამ რეგიონში გატარებული პოლიტიკის შესახებ ცოდნა. ეს ღონისძიებები მოიცავს: კონფერენციებს, სემინარებს, პუბლიკაციებს, საინფორმაციო კამპანიებსა და გაცვლას. ამ პრიორიტეტის მეთოდოლოგია და ბიუჯეტი ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული. შესაძლოა, ეს იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ ამ ღონისძიებათა საპრომოციო-საინფორმაციო ხასიათი მთლიანად პროგრამის განხორციელებისას მიღწეულ წარმატებებზე იქნება დამოკიდებული.

4.5 პრიორიტეტი 5

საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობა მეზობელ სახელმწიფოებში

მოთხოვნების მასშტაბის გათვალისწინებით მეზობელ ქვეყნებში ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო დახმარება ასევე რეგიონთაშორისი პროგრამის ფარგლებში გაიცემა. ამის გამო გადაწყდა საინვესტიციო პროცესების გამამარტივებელი დამატებითი პროგრამის ამოქმედება, რომლის სახელწოდებაცაა Neighbourhood Investment Facility (NIF). ამ პროგრამის მიზანია ევროკავშირისა და მეზობელ ქვეყნებს შორის არსებული ინფრასტრუქტურული მონაკვეთების გაუმჯობესება. პროექტები შეეხება ინფრასტრუქტურას ტრანსპორტისა და ენერჯის სფეროში. ამის გარდა, ეს ღონისძიებები გარემოს დაცვის სფეროში არსებულ საერთო პრობლემებსაც ეხება. როგორც ქვემოთ მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, ინფრასტრუქტურული მიზნების რეალიზაციისათვის საჭიროა ძალიან მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები. პროგრამა ამ რეგიონებში ინვესტიციის გამოცოცხლებას ისახავს მიზნად.

მიზნები:

- მეზობელ სახელმწიფოებს შორის და მეზობელ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის წევრი-ქვეყნების შორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ტრანსპორტისა და ენერჯის სექტორში;
- გარემოს დაბინძურებასა და კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული საფრთხეების შემცირება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივ სექტორში.

მოსალოდნელი შედეგები:

- ინფრასტრუქტურული კავშირების გაუმჯობესება;
- მგზავრებისა და საქონლის სწრაფი გადაადგილება ევროკავშირის წევრი-ქვეყნებსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის მდებარე მთავარ სატრანსპორტო დერეფნებში;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ენერჯეტიკის სექტორში;
- პოპულაციისა და ეკონომიკური ზრდით გარემოზე გამოწვეული ზეწოლის შემცირება;
- ენერჯის ხარჯვის შემცირება და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების ზრდა;
- სუფთა გარემო;
- კერძო სექტორის ზრდა პარტნიორ ქვეყნებში;
- განსაზღვრულ საზოგადოებრივ ასპექტებში არსებული ვითარების გაუმჯობესება.

ტრანსპორტი:

ტრანსევროპული ქსელის სფეროში მოქმედმა მაღალი დონის ექსპერტების ჯგუფმა²⁰ მიიღო გადაწყვეტილება ევროსისტემის ფარგლებში ქსელის გაფართოების შესახებ, წარმოადგინა რა წინადადება 5 ტრანსევროპული დერძის შექმნის შესახებ და ასამდე პოტენციურად პრიორიტეტული პროექტის ჩამონათვალი. აღნიშნული წინადადებები უნდა დაექვემდებაროს შეფასებას, რათა შესაძლებელი გახდეს ორი ჯგუფიდან ერთ-ერთში მათი გაერთიანება:

- პროექტები, რომელთა დაწყებაც 2010 წლამდე, ხოლო დასრულება 2020 წლამდეა შესაძლებელი. ამ ჯგუფში გაერთიანდება პროექტები, რომელთა მიზანიცაა გარემოზე ნეგატიური გავლენის მქონე ან საერთაშორისო მოძრაობის დამაბრკოლებელი ყველაზე მნიშვნელოვანი და მწვავე ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტა.
- გრძელვადიანი პროექტები, რომელთა რეალიზაციის დაწყებაც შესაძლებელია 2010 წლამდე. ამ ჯგუფში შევა საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული პროექტები ან პროექტები, რომელთა რეალიზაცია აუცილებლობით არის განპირობებული.

²⁰ ეს ჯგუფი (ინგლ. High Level Group) დადგინდა ტრანსპორტის საქმეთა კომისრის მიერ 2003 წ. მის ამოცანას წარმოადგენს პრიორიტეტების განსაზღვრა სატრანსპორტო ქსელის განვითარებაში.

ამ პროექტების რეალიზაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ 35 მილიარდი ევროს ფარგლებში შეფასდა. თანხის ორი მესამედი 2020 წლამდე უნდა იქნეს გაღებული.

ენერჯია:

ენერჯეტიკის სექტორში აუცილებლობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის ხარისხის ამაღლება და გაზისა და ნავთობის ახალი მილსადენების მშენებლობა. ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ გეგმაში ამ ღონისძიებებთან დაკავშირებული ინვესტიციის ღირებულება დაახლოებით 10 მილიარდ ევროს შეადგენს.

გარემო:

გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ინვესტიციებია საჭირო. პირველეს ყოვლისა, საჭიროა განხორციელდეს ევროკავშირის ინიციატივა წყლის რესურსების შესახებ (ინგლ. EU Water Initiative). არსებული შეფასებით, სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ რეგიონში სულ ცოტა 10-12 მილიარდი ევრო უნდა გამოიყოს.

Instrument Neighbourhood Investment Facility-ის მხარდაჭერას წვერი-ქვეყნების მიერ გაღებული თანხებიც მოხმარდება. პროგრამის რეალიზაციაში ჩაერთვებიან ევროპის საინვესტიციო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. დაფინანსება ზემოხაზოთვლილი პროექტების სფეროში გაიცემა გრანტების, სესხების, გარანტიების, საკაპიტალო რისკის ოპერაციების სახით ან პროექტების მომზადებაში, განხორციელების შესაძლებლობათა კვლევაში ტექნიკური დახმარების სახით. პროგრამის ბიუჯეტი ამ შემთხვევაში არ გადანაწილდება სხვადასხვა ქვეყანაზე, არამედ პროექტის სარეალიზაციოდ დამტკიცება დამოკიდებული იქნება მის მაღალ ხარისხზე.

ნაწილი V ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი საქართველოსთან მიმართებით

5.1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ეროვნული კომპონენტი

ეროვნული კომპონენტის ფარგლებში 2007-2010 წლებში საქართველო მიიღებს 120,4 მლნ ევროს ღირებულების გამოყოფილ თანხას. ეროვნული ინდიკატორული პროგრამის ფარგლებში ეს თანხა უნდა მოხმარდეს ქვემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტების დაფინანსებას:

პრიორიტეტული სფეროები	მლნ €	%
1. დემოკრატიული განვითარების, სამართლიანობისა და გამართული ადმინისტრაციის ხელშეწყობა	31.5	26%
2. ეკონომიკური განვითარებისა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გეგმების დანერგვის ხელშეწყობა	31.5	26%
3. სიღატაკის შემცირება და საზოგადოებრივი რეფორმები	38.4	32%
4. შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მხარდაჭერა	19.0	16%

ამ კომპონენტის რეალიზაცია მიმდინარეობს ევროკომისიისა (საქართველოში წარმოდგენილი ევროკომისიის დელეგაციის სახით) და საქართველოს მთავრობას შორის ყოველწლიური შეთანხმებების საფუძველზე. თანხების უმრავლესობა გაიცემა უშუალო საბიუჯეტო ტრანსფერების (გადარიცხვების) მეშვეობით და არ არის დაკავშირებული პროექტების წარდგენის ღია საკონკურსო პროცედურებთან. ეს თანხები გამოიყენება პრიორიტეტული რეფორმების განსახორციელებლად და გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ საზოგადოებრივი შეკვეთებისათვის.

2007 წელს გადაწყდა, რომ 24 მლნ. ევროს ღირებულების დახმარებას მიიღებენ პრიორიტეტ 2-ის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები: ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გეგმების დანერგვა. კერძოდ, დაფინანსდა: საზოგადოებრივი საფინანსო რეფორმა 16 მლნ ევროთი, პროგრამის Twinning ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები – 4 მლნ ევროთი, ასევე აფხაზეთში ეკონომიკისა და ნდობის აღდგენა – 4 მლნ ევროთი. წლიური პროგრამის ფარგლებში (2008)

მიმდინარე წლის ივლისში მიღებული 28, 8 მლნ ოდენობის თანხა მებაღეობის რეფორმას მოხმარდება.²¹

მომავალში გათვალისწინებულია რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გარკვეული ფონდების გადაცემა. ჯერჯერობით ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მოიპოვება. ევროკომისიის მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებული წლიური პროგრამის პროექტი მომავალ წელს იქნება წარდგენილი, რაც ნიშნავს, რომ იგი პრაქტიკულად 2010 წელს განხორციელდება. არსებობს იმის დიდი შესაძლებლობა, რომ ეს თანხები ასევე გაიცემა საბიუჯეტო გადარიცხვების ფორმით.

სამეზობლო და პარტნიორობის ევროპის ინსტრუმენტის აღმოსავლეთ რეგიონი – სამეზობლო პოლიტიკის მთავარი მიმართულების ანუ ეროვნული პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი თანხების ფარგლებში აგრეთვე არსებობს აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებელი თანხები. ისინი განკუთვნილია რეგიონის უახლეს მეზობელ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად. საქართველო უკრაინასთან, ბელორუსიასთან, მოლდავეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და რუსეთთან ერთად აღმოსავლეთის რეგიონული პროგრამით არის მოცული. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია შუა აზიის 5 რესპუბლიკასთან ანუ ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან თანამშრომლობა. ნორმალურ პირობებში აზიის რესპუბლიკები სამეზობლო პოლიტიკის დამაფინანსებელი ინსტრუმენტით არ სარგებლობენ. ისინი სარგებლობენ სხვა ფონდებით, რომლებსაც საგარეო პოლიტიკის ფარგლებში მოიპოვებენ. ამრიგად, შუა აზიის ქვეყნების საერთო ღონისძიებებში ჩართვას განსაკუთრებული დასაბუთება სჭირდება, ხოლო ღონისძიებათა დიდი ნაწილი უნდა მიმდინარეობდეს სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტით გაერთიანებული სახელმწიფოების ფარგლებში.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ რეგიონის ინსტრუმენტი სახელმწიფო პროგრამების მსგავსად ფუნქციონირებს. რეგიონული სტრატეგიის საფუძველზე 2007-2013 წლებისათვის იქმნება რეგიონული ინდიკატორული პროგრამა 2007-2010 წლებისთვის. ინდიკატორული პროგრამა, თავის მხრივ, წლიური პროგრამების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს.

აღმოსავლეთ რეგიონის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის განხორციელებისათვის 2007-2010 წლებში გამოიყო 223,5 მლნ ევროს ღირებულების მთლიანი ბიუჯეტი. გათვალისწინებულ იქნა, რომ პროგრამას 5 პრიორიტეტულ სფეროში ხელი უნდა შეეწყო მიზნების განხორციელებისათვის:

ქსლები: განსაკუთრებით ტრანსპორტი, ენერჯია და მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლობა რეგიონში (თანხის 25%-35%);

²¹ ევროკომისიის მიერ 22.10.2008 წ. დონორთა კონფერენციაზე წარდგენილი 2008 წლის წლიური პროგრამის რეალიზაციისათვის განკუთვნილი თანხების აქტუალური განაწილება დაწვრილებით არის აღწერილი 5.3 ნაწილში.

- გარემოს დაცვა და ტყეების გაშენება (თანხის 25%-35%);
- საზღვრებისა და მიგრაციის პროცესის მართვა, საერთაშორისო კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლა, ბაჟი (თანხის 20%-30%);
- ადამიანთაშორისი კავშირები (თანხის 10%-15%);
- სახმელეთო ნაღმები, აუფეთქებელი ჭურვები, მსუბუქი იარაღი (თანხის 5%-10%).

2007 წლისათვის განსაზღვრული წლიური პროგრამა ითვალისწინებს 56 მლნ ევროს ოდენობის თანხას. თანხები განსაზღვრულია ტრანსპორტის სფეროში განსახორციელებელი ორი დიდი პროექტის, ენერჯის სექტორში განსახორციელებელი ორი დიდი პროექტისა და რუსეთში მეტყვეობის სფეროში დაგეგმილი ერთი პროექტის, უკრაინასა და მოლდავეთში საზღვრების მართვასთან დაკავშირებული პროექტის, ბელორუსიაში იარაღისა და სახმელეთო ნაღმების განადგურებასთან დაკავშირებული პროექტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სტრატეგიის (დაფინანსებული ასევე ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის სამხრეთ რეგიონისთვის გათვალისწინებული თანხებით) განსახორციელებლად. ამას გარდა, საერთო გადანაწილების ფარგლებში დამატებით გამოყოფილი იქნება დაახლოებით 5 მლნ ევრო, რომელიც ვითარებისა და საჭიროების მიხედვით მცირე პროექტების განხორციელებისათვის იქნება განკუთვნილი.

ეს თანხები შეიძლება მოხმარდეს მაგ. პროექტების მართვის ხელშეწყობას, საინფორმაციო ღონისძიებებსა თუ საორგანიზაციო შეხვედრებს.

საჭირო კონტაქტი:

Steve Bullock (Desk Officer)

DG External Relations, Unit E/2

Tel: +(32) 2 2994435; e-mail: steve.bullock@ec.europa.eu

იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც რეფორმების წარმატებული რეალიზაციითა და დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში მიღწეული წარმატებებით გამოირჩევიან, ევროკომისიამ გამოყო სპეციალური დამატებითი ფონდი, რომლის სახელწოდებაცაა Governance Facility 300 მლნ ევროს ბიუჯეტით 2007-2013 წლებისათვის. დამატებითი თანხები გაიცემა თითოეულ ქვეყანაში სამეზობლო პოლიტიკის რეალიზაციაში წლიური ანგარიშგების საფუძველზე. 2007 წელს დამატებითი ფონდები უკრაინასა და მაროკოს მიენიჭათ.

5.2 ტრანსსასაზღვრო კომპონენტი

ტრანსსასაზღვრო ხასიათის 15 პროგრამიდან საქართველოს მხოლოდ ერთ, შავი ზღვის აუზთან დაკავშირებულ ოპერაციულ პროგრამაში შეუძლია

მონაწილეობის მიღება. ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ რეგიონს. მონაწილეობის მიღება აგრეთვე შეუძლიათ ქვემოთ ჩამოთვლილ რეგიონებსა და სახელმწიფოებს:

- ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებს;
- საბერძნეთი – მაკედონიის კენტრიკის, მაკედონიის ანატოლიკისა და თრაკიის რეგიონებს;
- რუმინეთი – სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონს;
- რუსეთი – როსტოვისა და კრასნოდარის მხარეებსა და ადიღეს ავტონომიურ რესპუბლიკას;
- თურქეთის რეგიონებს: TR10 (İstanbul), TR21 (Tekirdağ, Edirne, Kırklareli), TR42 (Kocaeli, Sakarya, Düzce, Bolu, Yalova), TR81 (Zonguldak, Karabük, Bartın), TR82 (Kastamonu, Çankırı, Sinop), TR83 (Samsun, Tokat, Çorum, Amasya) i TR90 (Trabzon, Ordu, Giresun, Rize, Artvin, Gümüşhane),
- უკრაინაში – ოდესას, მიკოლაიოვს, ხერსონს, ზაპოროჟეს, დონეცკის ოლქს, ყირიმის რესპუბლიკას, სევასტოპოლს;
- საქართველოს მსგავსად პროგრამაში მთლიანად ჩართული არიან: სომხეთი, აზერბაიჯანი და მოლდავეთის რესპუბლიკა.

ბენეფიციარები:

პროგრამისათვის გამოყოფილი თანხებით შეუძლიათ ისარგებლონ: ადგილობრივმა და რეგიონულმა ადმინისტრაციებმა, რეგიონული განვითარების სააგენტოებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მოღვაწეობენ: ადგილობრივი განვითარების, გარემოს დაცვის, კულტურისა და საზოგადოებრივ სფეროებში, სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და მეთევზეობის სფეროებში დასაქმებულ მეწარმეებს, ბიზნესის წახალისებით დაკავებულ სახელმწიფო სააგენტოებს, უნივერსიტეტებსა და გარემოს დაცვის სააგენტოებს, საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებსა და ა.შ. პროექტში მონაწილე ერთეულის დასახელებას ძირითადად განსაზღვრავს პროგრამის მოცემული პრიორიტეტის თემატიკა. ყოველ შემთხვევაში ერთეული იმ გეოგრაფიულ სივრცეს უნდა განეკუთვნებოდეს, რომელსაც პროგრამა მოიცავს.

პროექტს ადგენს და მას საგნობრივსა და ფინანსურ კოორდინაციას უწევს ერთ-ერთი პარტნიორი, რომელიც პროექტის კოორდინატორი (ინგლ. Lead Partner) ეწოდება. კოორდინატორი ხელს აწერს ყველა მონაწილის სახელით ხელშეკრულებას პროგრამის მმართველ დაწესებულებასთან და წარმოადგენს მათ მმართველი დაწესებულების წინაშე. აქედან გამომდინარე, იგი კისრულობს პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ იურიდიულ და ფინანსურ პასუხისმგებლობას.

კოორდინატორი ასევე გვევლინება გრანტის უშუალო ბენეფიციარად. დოტაცია გადაირიცხება მისი დაწესებულების ანგარიშზე. კოორდინატორი ანაწილებს მიღებულ თანხას პარტნიორებს შორის მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის განხორციელებაში პარტნიორების დავალებების პროპორციულად. ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ გრანტის მოსაპოვებლად საჭირო განაცხადის შეტანამდე უნდა დაიდოს. იგი აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს თანხის დაბრუნების საკითხს (მაგ. პარტნიორების მიერ პროექტის მათ მიერ შესასრულებელი ნაწილის შეუსრულებლობისას), რაც დოტაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციის

ინტერესებს იცავს. კოორდინატორის ვალია შეამოწმოს, მოხმარდა თუ არა პარტნიორის მიერ დახარჯული თანხა იმ ღონისძიებას, რომლისთვისაც იგი იყო განკუთვნილი. მის ვალდებულებებში აგრეთვე შედის დამოუკიდებელი აუდიტორის დასაქმება, რომელიც შეამოწმებს, მოხდა თუ არა პროექტის რეალიზაცია პროგრამის მიხედვით. კოორდინატორი უკავშირდება მმართველ ორგანიზაციას პროექტის განხორციელების პერიოდში, აკეთებს განაცხადებს შემდეგი თანხების გადმორიცხვის შესახებ²² და პასუხს აგებს პროექტის ანგარიშგებაზე ანუ აწარმოებს შუალედურ და საბოლოო ანგარიშგებას.

პროექტის რეალიზაციის მიზნით შექმნილი თანამეგობრობები უნდა მოიცავდნენ მეზობელი სახელმწიფოების წარმომადგენლებსა და წევრ-ქვეყნებს. თურქეთის წარმომადგენლებს²³ ნება აქვთ დართული მონაწილეობა მიიღონ პროექტში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ პროექტში ევროკავშირის წევრი-ქვეყნები და მეზობელი სახელმწიფოები მონაწილეობენ.

2007-2013 წლების მომცველი პროგრამის ბიუჯეტი 17,305 მლნ ევროს შეადგენს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს თანხების მიმანიშნებელ²⁴ განაწილებას სხვადასხვა პრიორიტეტებს შორის:

	ENPI Funding (a) *	ECIPA Funding (b)	EC financing (c)	ENPI Co-IPAFinancing (d)	ENPI Co-financing rate (in %) (e) **	IPA Co-financing rate (in%) (f)	ENPI Total funding (g) = (a)+(c)	IPA Total funding (h) = (b)+(d)	EC Total funding (i) = (g)+(h)
Priority 1	5,500,000	2,224,700	550,000	392,594	10%	15%	6,050,000	2,617,294	8,667,294
Priority 2	6,250,000	2,528,000	625,000	446,118	10%	15%	6,875,000	2,974,118	9,849,118
Priority 3	3,825,350	1,547,300	382,535	273,053	10%	15%	4,207,885	1,820,353	6,028,238
Technical Assistance	1,730,594	700,000	N.A.	123,529	if applicable	15%	1,730,594	823,529	2,554,123
Total	17,305,944	7,000,000	1,557,535	1,235,294	9%	15%	18,863,479	8,235,294	27,098,773

წყარო: ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი

როგორც ზემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, პროგრამა მოიცავს მათთვის განკუთვნილი ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად განხორციელებად სამ პრიორიტეტს:

პრიორიტეტი 1. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა, რომელმაც უნდა განაპირობოს საერთო რესურსებზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

²² საგრანტო პროგრამები ითვალისწინებენ, რომ მმართველი ორგანიზაცია ბენეფიციარებს ურიცხავს გრანტის ღირებულების 50%-ს პროექტის რეალიზაციის დასაწყისში, 25%-ს პროექტის რეალიზაციის წინსვლის განსაზღვრული ეტაპის მიღწევის შემდეგ, დანარჩენ 25%-ს კი რეალიზაციის დამთავრებისას. ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ მომენტში როგორც ბენეფიციარი, ასევე მისი პარტნიორები ღონისძიების რეალიზაციის დაკრედიტებას ახდენენ.

²³ თურქეთის მონაწილეობას განსაზღვრავს წინასააქციზო დახმარების ინსტრუმენტი - IPA

²⁴ მიმანიშნებელი ანუ შესავალი. თანხები შეიძლება გადანაწილდეს პრიორიტეტებს შორის საჭიროების ან მათი გამოყენების მიხედვით. თანხების თითოეული გადაადგილება ევროკომისიის თანხმობას მოითხოვს.

ღონისძიება 1.1 შიდარეგიონული კავშირების გაზრდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო, ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროებში.

- რეგიონში საერთაშორისო, მათ შორის, ენერჯით ვაჭრობის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო ბაზარზე შავი ზღვის რეგიონის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობის ქსელის შექმნა, რომელიც მიზნად დაისახავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენების ხელშეწყობას ადგილობრივ და რეგიონულ ეკონომიკურ ინიციატივებში;
- შესავალი გამოკვლევა მცირე მასშტაბის ინვესტიციის შესაძლებლობისა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, რომელმაც უნდა განაპირობოს სუსტად განვითარებული შავი ზღვის აუზში მდებარე რეგიონებისა და ტურისტული დაბების უკეთესი ინტეგრაცია;
- საერთო ინიციატივა ტრანზიტისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის იმ რეგიონებში განვითარებასთან დაკავშირებით, სადაც მგზავრების გადაყვანის შემოსავლიანობა მკვეთრად იკლებს;
- გარემოსათვის ხელსაყრელი, უსაფრთხო და სანდო საზღვაო მარშრუტების დანერგვის შესაძლებლობების შესავალი გამოკვლევა.

ღონისძიება 1.2. ტურისტული ქსელების შექმნა ტურიზმისა და რეგიონული პროდუქციის საერთო განვითარების შესახებ წარმოდგენილი ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით

- ტურისტულ სექტორში მომუშავე ტურისტული სააგენტოების ქსელის ჩამოყალიბება, ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენის გაზრდის მიზნით. ამის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს კულტურული მარშრუტი შავი და კასპიის ზღვების შესახებ არსებული მითის ირგვლივ;
- დაცული რეგიონების მართვის ორგანოების თანამშრომლობა, რომლებიც მიზნად ისახავს შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ღირებულ ბუნების ობიექტებში დაბალანსებული ტურიზმის ხელშეწყობას;
- ტურისტული სააგენტოების ქსელის შექმნა, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე საერთო ინიციატივების განხორციელებით იქნებიან დაკავებული;
- ტრასსასაზღვრო cross-border ტურისტული პროდუქტებისა და ტურისტული მომსახურების ფარგლებში (თემატური მარშრუტები, სისტემები, მაგ. ხარისხის) საერთო სტანდარტების შექმნა;
- თანამშრომლობა ევროკავშირის კარგად განვითარებულ ქვეყნებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკების მიგრაციის შეზღუდვასა და თავიდან აცილებაში, „ტვინების გადინების“ თავიდან აცილება.

ღონისძიება 1.3. ეფექტური ადმინისტრაციის ჩამოყალიბება ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით

- თანამშრომლობის ქსელების ჩამოყალიბება წარმატებული ღონისძიებებისა და ინოვაციების ურთიერთგაცვლის შედეგად ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციის ეფექტურობის გასაზრდელად;

- თანამშრომლობის ქსელები გარემოსა და ურბანული დაგეგმარების, ქალაქების განვითარების მართვისა და მათი გამოცოცხლების ინოვაციური მეთოდოლოგიის ხელშეწყობისათვის;
- რეგიონული განვითარების სააგენტოების თანამშრომლობა ექსპერტიზების, კომპეტენციებისა და განვითარების პოლიტიკისადმი ინოვაციური მიდგომის, რეგიონული სააგენტოების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების და მცირე და საშუალო საწარმოების სექტორის განვითარების ხელშეწყობი საერთო მეთოდოლოგიის ურთიერთგაცვლის მიზნით;
- მსს²⁵ განვითარების ხელშეწყობი ადგილობრივი დაწესებულების კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, განსაკუთრებით კი რეგიონთაშორის ღონეზე ღონისძიებების ჩატარების უნარიანობის ამაღლება (მაგ. სამარკეტინგო გეგმები, პროდუქტების განვითარება, მცირე ბიზნესის მართვის გაუმჯობესება და ა.შ.);
- მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ასამაღლებლად ღონისძიებების წარმატებით ჩატარების შედეგად მიღებული გამოცდილების ურთიერთგაზიარება (დასაქმების ბაზრის, განათლების, ენების შესწავლის, საცხოვრებლით დაკმაყოფილების, საზოგადოებრივი და იურიდიული კონსულტაციის ჩათვლით);
- კურსების ღონის ასამაღლებელი (პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომლებიც პროდუქციის სექტორის მოთხოვნებს შეესაბამება), მეწარმეთა ინიციატივის მხარდამჭერი, ცოდნის სერტიფიკატების მეშვეობით დამადასტურებელი, ახალგაზრდა მოქალაქეთა დასაქმების ბაზარში ჩართვის წამახალისებელი ტრანსსასაზღვრო ღონისძიებები;
- პოზიტიური ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სფეროში ადგილობრივი მართვის ორგანოთა შორის Twinning-ზე დამყარებული ინიციატივების ხელშეწყობა;
- პარტნიორებთან თანამშრომლობის პროცესში ნოუ-ჰაუს ურთიერთგაზიარება და ადგილობრივი განვითარების სფეროში საერთო ინიციატივების შექმნა.

პრიორიტეტი 2 – რესურსებისა და კომპეტენციების განაწილება გარემოს დაცვისა და მისი დაღვებითი მხარეების შენარჩუნების სფეროში

ღონისძიება 2.1.: ზღვისა და მდინარეების სისტემების ირგვლივ გარემოს დაცვის სფეროში წამოჭრილი საერთო პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი საინფორმაციო ბაზის გაფართოება და ცოდნის ღონის ამაღლება;

²⁵ მსს – მცირე და საშუალო საწარმოები (ინგლ. SMEs –Small and Medium Enterprises)

- საერთო ღონისძიებათა ჩატარების დაგეგმვის ხელშეწყობა. კვლევითი დაწესებულებებისა და რეგიონული ორგანიზაციების მიერ ზღვის ბუნებრივი სისტემების მდგომარეობის შეფასება;
- გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის დამყარებული თანამშრომლობის მეშვეობით გამოცდილებისა და წარმატებული მეთოდოლოგიის ურთიერთგაცვლა;
- ახალი თანამშრომლობის ჩამოყალიბება ან უკვე არსებული თანამშრომლობის განმტკიცება მეთოდოლოგიისა და ნავთობის დაღვრასა და ზღვის სანაპიროების დაბინძურების შედეგების აღმოფხვრაში კომპეტენტური სამაშველო სამსახურების ცოდნა-გამოცდილების გაცვლის მიზნით;
- შავი ზღვის აუზის დაბინძურების მაკონტროლებელ დაწესებულებათა მიერ გარემოს მონიტორინგის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა, რაც მიზნად ისახავს კრიზისული გეგმების შემუშავებას სანაპირო რეგიონების მმართველი ორგანოების მიერ სანაპიროს დაბინძურების პრობლემის აღმოფხვრაში დასახმარებლად;
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა შავი ზღვის აუზში გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული საფრთხის მონიტორინგის სფეროში სამეცნიერო კვლევის დასანერგად;
- თანამშრომლობის დანერგვა ან უკვე არსებული თანამშრომლობის განმტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს სახმელეთო ზონის სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის შედეგად გამოწვეული დაბინძურების იდენტიფიკაციისა და მათი გამორიცხვისათვის საჭირო მეთოდების მოსაძიებლად;
- რეგიონის ზღვისა და მდინარეთა სისტემის კონტროლის, მონიტორინგისა და დაცვისათვის საჭირო კვლევითი სამუშაოების მომზადება და წახალისება;
- ცნების ჩამოყალიბება ბუნებრივი ან ადამიანთა მიერ გამოწვეული კატასტროფების შემთხვევაში საჭირო კოორდინაციისა და თანამშრომლობის სფეროში.

ღონისძიება 2.2: კვლევისა და ინოვაციის ხელშეწყობა, გარემოს დაცვისა და მისი სიმდიდრეების შენარჩუნების სფეროში საჭირო შემეცნების განვითარება

- ბუნებრივი ნაკრძალების მმართველ ორგანოებს შორის თანამშრომლობის ქსელის ჩამოყალიბება ან განმტკიცება ექსპერტიზების, წარმატებული მეთოდოლოგიისა და ინოვაციური წამოწყებების გაცვლისა და დამატებით მონიტორინგისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით;
- ერთობლივი ღონისძიებების წამოწყება საერთო ინფორმაციული და საპრომოციო ინსტრუმენტებით შავი ზღვის აუზის რეგიონში მდებარე ნაკრძალებში ბუნებითა და კულტურით დაინტერესებულთათვის განკუთვნილი ტურისტული მარშრუტების ხელშეწყობისათვის;

- შავი ზღვის აუზის რეგიონში არსებული ბუნებრივი ნაკრძალების ერთობლივი დაგეგმარების, მართვისა და მათი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად აუცილებელი თანამშრომლობის ქსელის შექმნა ან განმტკიცება;
- ნაკრძალების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებთა შემეცნების ასამაღლებლად გამიზნული ტრენინგი და კურსები.

ღონისძიება 2.3: მყარი და თხევადი ნარჩენების გამწმენდი სისტემების ტექნოლოგიის ინოვაციისათვის გამიზნული თანამშრომლობის ინიციატივის ხელშეწყობა.

- დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს ნოუ-ჰაუს გაცვლასა და ნარჩენების უტილიზაციის ახალი ტექნოლოგიებისა და პროცედურების დანერგვას;
- საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა, მყარი და თხევადი ნარჩენების უტილიზაციის, წყლის ეკონომიური ხარჯვისა და recycling-ის შესახებ შემეცნების ამადლების საინფორმაციო კამპანიების ჩათვლით;
- თანამშრომლობა ნარჩენების მართვის სფეროში საჭირო ინოვაციების დასანერგად, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც განსაზღვრულ დასახლებებში დიდი სეზონური ტურისტული გადაადგილება ხდება;
- თანამშრომლობა მმართველ ორგანოებს შორის ნარჩენებისა და კანალიზაციის მართვის სექტორში ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში გამოყენებულ მოდელებზე დაყრდნობით შემუშავებული წარმატებული მეთოდისა და ადმინისტრაციული ინსტრუმენტების გაცვლის მიზნით.

პრიორიტეტი 3 – კულტურული და საგანმანათლებლო ქსელების²⁶ ხელშეწყობა შავი ზღვის აუზში ერთობლივი კულტურული სფეროს ჩამოყალიბების მიზნით.

ღონისძიება 3.1: შავი ზღვის აუზის თანამეგობრობაში კულტურული ქსელების შექმნისა და განათლების მიღების მიზნით ახალგაზრდების ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა.

- თანამშრომლობის დამყარება კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით;
- შავი ზღვის რეგიონში რეგიონული თვითშემეცნების განსამტკიცებლად გამიზნული კულტურული დაწესებულებების ქსელის შექმნა;
- კულტურის ცენტრების ქსელის შექმნა, რეგიონის კულტურული საგანძურის გავრცელება;

²⁶ თანამშრომლობის ქსელები – (ინგლ. networking) წარმოადგენენ რეგიონთაშორის, ქალაქთაშორის ან სხვა ერთეულთაშორის გაერთიანებებს, რომლებსაც აქვთ საერთო მიზანი ან საერთო პრობლემები. Networking აგრეთვე გამოიყენება სასარგებლო კონტაქტების დამყარების ან მათი შენარჩუნებისათვის.

- თანამშრომლობის დამყარება ტრადიციული, პოპულარული კულტურის სფეროში გამოცდილების გასაზიარებლად შავი ზღვის აუზის რეგიონებში ერთობლივი კულტურული ღონისძიებების ჩატარების შედეგად;
- თანამშრომლობა სტუდენტთა და აკადემიური კადრების გაცვლის მიზნით, კულტურის გავრცელების არხების შექმნა;
- თანამშრომლობა უნივერსიტეტებს, საშუალო სკოლებსა და კვლევით დაწესებულებებს შორის შავი ზღვის აუზში დიდი ინტერესით მოსარგებლე თემატიკის ირგვლივ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მიზნით;
- გამოცდილების გაზიარების ქსელი, რომელიც მიზნად ისახავს საერთო კონცეფციებზე დამყარებულ საგანმანათლებლო და პროფესიული დახელოვნების სისტემების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განვითარებას;
- თანამშრომლობა მიგრაციისა და კონფლიქტების წარმოშობის რისკით გამოწვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

აქაც დამატებით, როგორც ევროპის სხვა მსგავს პროგრამებში, მოქმედებს პრიორიტეტი სახელწოდებით „ტექნიკური დახმარება“. თანხები, რომლებიც ამ პრიორიტეტისათვის გამოიყო, გამიზნულია ძირითადად მმართველი დაწესებულებებისათვის პროგრამის მიმდინარე რეალიზაციისა და ხელშეწყობისათვის საჭირო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

დასაშვებია შემდეგი სახეობის პროექტების წარდგენა:

პროექტები, რომელთა რეალიზაცია ამ პროგრამის ფარგლებში ხდება, სამ ძირითად სახეობად იყოფა:

1. ინტეგრირებული: ასეთი პროექტები ემყარება სხვადასხვა სახელმწიფოში ჩატარებულ სხვადასხვა სახეობის ღონისძიებებს, მაგრამ ამავე დროს მიმართულია საერთო ტრანსსასაზღვრო შედეგის მიღწევისაკენ. ასეთი პროექტები პირველ რიგში დაფინანსდება;
2. სიმეტრიული: ემყარება პროექტში მონაწილე თოთოეულ სახელმწიფოში იმავე ტიპის ღონისძიებებს;
3. განცალკევებული: ძირითადად ან მთლიანობაში ხორციელდება მხოლოდ ერთ სახელმწიფოში, სამაგიეროდ, აქვთ ტრანსსასაზღვრო შედეგები.

დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელია პროექტს ჰქონდეს ტრანსსასაზღვრო შედეგი. მაგალითად, ღონისძიებებს, რომელთაც დაფინანსების მიღება შეუძლიათ, განეკუთვნება ტურიზმის წამახალისებელი ქსელის შექმნა, გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწეობა, კურსები, კონფერენციები, რომელთა მიზანია წარმატებული მეთოდისა და ცოდნა-გამოცდილების გაზიარება და რეგიონული განვითარების ერთობლივი ინიციატივა.

საკონსულტაციო პროექტებისაგან განსხვავებით, ამ პროექტების პარტნიორებმა პროექტის განხორციელებაში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ. ევროკავშირი აფინანსებს პროექტის ღირებულების დაახლოებით 90%-ს.²⁷ პროექტის მინიმალური ღირებულება ანუ მისი მთლიანი ბიუჯეტი, საკუთარი შენატანის ჩათვლით სულ ცოტა 50.000 ევროს უნდა შეადგენდეს. განაცხადების პირველადი შეგროვება მოხდება 2008 –2009 წლების მიჯნაზე.²⁸ განაცხადების შეგროვების შესახებ გაკეთებულ ნებისმიერ განცხადებაში მოცემული იქნება პროექტის ფინანსური ფარგლები და, ამასთან, პარტნიორების მინიმალური რიცხვი. თუ პროგრამის ბიუჯეტი თარგმანთან დაკავშირებულ თანხებს მოიცავს, განაცხადები დაფინანსების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს პროგრამაში მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ ენებზე.

უკვე განხორციელებული ტრანსსასაზღვრო პროგრამებიდან მიღებული გამოცდილება საშუალებას იძლევა, რომ პროექტების ბიუჯეტები ამ შემთხვევაშიც მსგავს წესებს დაექვემდებაროს. წესისამებრ პროექტის ფარგლებში არსებული თანხების გაცემა უნდა მოხდეს პროექტის მიმდინარეობის პერიოდში. ამასთან, აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ღირებულებისა და დანახარჯის ცნებები: ღირებულება მოითხოვს ხარჯის გაწევას ანუ ღირებულების გადახდას. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ ყველა დანახარჯი, ნაღდი ფულის ან საბანკო გადარიცხვების მეშვეობით, პროექტის რეალიზაციის დამთავრებამდე უნდა გაიცეს. სავარაუდოდ, აღიარებული იქნება შემდეგი კატეგორიები: თანამშრომლების ანაზღაურება, სამსახურებრივი მივლინებები, მომსახურებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა (მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი პროექტის რეალიზაციისათვის აუცილებლობას წარმოადგენენ), დახარჯული მასალების ღირებულება, შუალედური ღირებულებები (მაგ. ოფისის ფუნქციონირების ღირებულებები, რომელიც მხედველობაში მიიღება პროექტის საერთო ბიუჯეტის გარკვეულ პროცენტამდე, რომელიც ჩვეულებისამებრ მთლიანი ბიუჯეტის 7% შეადგენს), და ა.შ. პროექტის ბიუჯეტში არ უნდა ჩაითვალოს დანახარჯთა შემდეგი კატეგორიები: პროცენტები, დავალიანებები, მიწის ან შენობების შესყიდვა, დღგ, თუ იგი ბენეფიციენტს ისევ უბრუნდება, ჯარიმები და მესამე პირის სასარგებლოდ აღებული სესხები და ა.შ.

პროგრამის მართვა:

პროგრამის მართვასა და ევროკომისიასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელია მმართველი დაწესებულება (ინგლ. Managigng Authority), რომელიც სამუშაო ეტაპზე ერთობლივი ტექნიკური სამდივნოს (ინგ. Joint Technical Secretariat) მიერ არის წარმოდგენილი. ტექნიკურ სამდივნოს ევალება ბენეფიციენტებთან კონტაქტი, განაცხადების შეგროვების წარმოება, ხოლო თანხების გამოყოფის შემდეგ ხელს აწერს ხელშეკრულებებს, პროექტების შინაარსობრივ და ფინანსურ მონიტორინგს, ახდენს მათი რეალიზაციისათვის საჭირო შემდგომი თანხების გადარიცხვას. ბენეფიციენტები, თავის მხრივ, დაფინანსების ყოველგვარი განაცხადითა და ანგარიშგებით მიმართავენ სამდივნოს.

²⁷ საკუთარი დანახარჯი პროექტის ბიუჯეტში უნდა შეადგენდეს მონიჭებული გრანტის ანუ ევროკავშირის მიერ გაცემული დაფინანსების ღირებულების 10%-ს.

²⁸ შავი ზღვის აუზში 2007-2013 წლებისათვის დაგეგმილი ერთობლივი ოპერაციული პროგრამის ფარგლებში.

შავი ზღვის აუზთან დაკავშირებული პროგრამის შემთხვევაში მმართველი დაწესებულებისა და ტექნიკური სამდივნოს ფუნქციები დაეკისრა რუმინეთის განვითარების, საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ბინათმშენებლობის სამინისტროს (ინგლ. Ministry of Development, Public Works and Housing). ამ პროგრამის შესახებ არსებული ყველა ინფორმაცია და ასევე განცხადება განაცხადთა შეგროვების შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე:

www.blacksea-cbc.net

სასარგებლო კონტაქტები:

Sorina CANEA (პროგრამის კოორდინატორი)

Ministry of Development, Public Works and Housing, Directorate for International Territorial Cooperation;

ტელ: +40 372 111 309 ; ფაქსი: +40 372 111 456; ელ-ფოსტა: sorina.canea@mdpl.ro

5.3. საქართველოსათვის გაწეული დახმარება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრის მიზნით

2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა საქართველოს საკითხთან დაკავშირებული დონორთა კონფერენცია (ინგლ. Donors Conference). კონფერენცია ჩატარდა მინისტრების დონეზე. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს თითქმის 40 ქვეყნისა და 15 საფინანსო დაწესებულების: მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სხვა. წარმომადგენლები. კონფერენციის მიზანი იყო საქართველოსა და რუსეთს შორის აგვისტოში მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაზარეული ობიექტების რეკონსტრუქცია. დახმარება გამიზნულია ინფრასტრუქტურის აღდგენის, კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა ინტეგრაციისა და საქართველოში ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული გამოანგარიშებით, ამ მიზნით საქართველოს დაახლოებით 2,38 მილიარდი ევრო (ანუ 3,2 მილიარდი დოლარი) სჭირდება. ეს თანხა 3 წლის განმავლობაში უნდა გაიცეს. დონორებმა გადაწყვიტეს 4,55 მილიარდი დოლარის ოდენობის თანხის გაღება, რამაც, რა თქმა უნდა, ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ამ თანხის ფარგლებში 2 მილიარდი დოლარი საქართველოს გრანტების სახით გადაეცა, დანარჩენი თანხა კი დაბალპროცენტოვანი სესხებისაგან შედგება. აშშ და ევროკავშირი ყველაზე გულუხვი დონორები აღმოჩნდნენ და, შესაბამისად, 1 მილიარდი დოლარი და 500 მილიონი ევრო (ანუ 642 მილიონი დოლარი) გაიღეს.²⁹

საქართველოსათვის გაწეული დახმარების მიზანია ეკონომიკური მდგომარეობის ომამდელი პერიოდის დონემდე დაბრუნება, რადგანაც მსოფლიო ბანკი მიმდინარე წელს პროგნოზირებული 5%-ის ნაცვლად 3,5%-იან ეკონომიკურ ზრდას მოელოდა. კონფლიქტის შედეგად 127,000 ადამიანი იძულებით შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

²⁹ ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ განცხადება აგრეთვე გააკეთეს ევროპის ცალკეულმა ქვეყნებმა: მაგ. გერმანია და შვედეთი ჰპირდებიან 70 მლნ ევროს, საფრანგეთი 7 მლნ.£ევროს, პოლონეთი 5,5 მლნ.ევროს. ეს თანხები არ განეკუთვნება ევროკავშირის მიერ გამოყოფილ დახმარებას.

ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარების მექანიზმი:

ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა კომისრის ბენიტა ფერერო-ვალდნერის მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით, უახლოესი სამი წლის განმავლობაში ევროგაერთიანება საქართველოს გადასცემს ფინანსურ დახმარებას 500 მლნ. ევროს ოდენობით. დეკლარირებული თანხა მოიცავს კონფლიქტის დაწყებისთანავე გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებასა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის რეალიზაციიდან გამომდინარე, დამატებითი თანხებით გაზრდილ ფინანსურ საშუალებებს. ფინანსური დახმარება გაიცემა უკვე არსებული ინსტრუმენტების პაკეტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს: საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ეროვნულ კომპონენტს, სტაბილიზაციის ინსტრუმენტს, ევროგაერთიანების ჰუმანიტარული დახმარების ინსტრუმენტს, მაკროფინანსურ დახმარებას (ინგლ. Macro-Financial Assistance), და, ამასთან, ევროგაერთიანების წარმომადგენლებისაგან შემდგარი დამკვირვებელთა მისიის დაფინანსებას. ევროკომისიას სურს ეს თანხები მოახმაროს შემდეგი მიზნების რეალიზაციას:

- კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა დახმარებას;
- საქართველოს ეკონომიკის აღდგენას;
- მაკროეკონომიურ სტაბილიზაციას;
- განსაკუთრებით ენერგეტიკული სექტორის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობას.

საქართველოსათვის დამატებითი ფინანსური დახმარება არ ნიშნავს ამ რეგიონში ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლას; პირიქით, იგი მათი რეალიზაციის თანმიმდევრული გაგრძელებაა.

ევროგაერთიანების მიერ გამოყოფილი დახმარების პაკეტი 2008 წლისათვის ითვალისწინებს 181,9 მლნ ევროს ოდენობის საერთო დახმარებას. წლიური პროგრამა საქართველოსათვის, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ეროვნული კომპონენტის ფარგლებში, 2008 წლისათვის 64,5 მლნ ევროთი გაიზრდება. ევროგაერთიანების ჰუმანიტარული დახმარების ინსტრუმენტის ბიუჯეტი, რომლის საშუალო წლიური სიდიდე საქართველოსათვის 6 მლნ, ევროს შეადგენდა, 2008 წლისათვის დაახლოებით 3 მლნ. ევროთი გაიზრდება.³⁰ თანხა გაიცემა შემდეგი მიზნების განსახორციელებლად:

- ლტოლვილებისათვის დახმარება: 98, 7 მლნ. ევრო
- დახმარება გაეროსათვის UN FLASH APPEAL-ის ფარგლებში: 21 მლნ ევრო³¹;
- გრანტები და უშუალო საბიუჯეტო გადარიცხვები პროგრამის Municipal Development Fund³² ფარგლებში.

³⁰ პროგრამის Macro Financial Assistance რეალიზაცია გაგრძელდება 2009-2010 წლებში. ამ პერიოდისათვის განსახდვრული წლიური დახმარება 46 მლნ ევროს გაუთანაბრდება.

³¹ ამომწურავი ინფორმაცია იხილეთ გაეროს ინტერნეტ-გვერდებზე: <http://ochaonline.un.org/cap2005/webpage.asp?Page=1692>

³² Municipal Development Fund წარმოადგენს მსოფლიო ბანკის პროგრამას.

- ეკონომიკის ძირითადი რეკონსტრუქცია: 47,8 მლნ ევრო;
- დახმარების Macro Financial Assistance ინსტრუმენტის ფარგლებში: 11,5 მლნ ევრო;
- დახმარება, გაცემული ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებს გარეთ განხორციელებადი თემატური პროგრამებისათვის: 36,6 მლნ ევრო;
- ევროგაერთიანების მონიტორინგის სამსახურისათვის საქართველოში, რომელიც 01.10.2008 წ. შეუდგა მუშაობას: 35,4 მლნ ევრო³³

³³ წყარო:

<http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=MEMO/08/645&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>

ნაწილი VI:

საქართველოსათვის ხელმისაწვდომი სხვა პროგრამები

საქართველოს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს კიდევ 5 თემატურ პროგრამაში, რომლებიც არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებს, არამედ ევროგაერთიანების საგარეო დახმარების ფარგლებში შემავალი 78 სახელმწიფოდან თითოეულისათვის არის განკუთვნილი. აღნიშნული პროგრამები მოქმედებს Financial Instrument for Development Cooperation (ინგლ. შემოკლ. DCI) ფონდის ფარგლებში ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს №1905/2006³⁴ ბრძანებულების მიხედვით. დოკუმენტი ქმნის რამდენიმეწლიანი სტრატეგიის ფარგლებს 5 თემატური პროგრამისათვის DCI-ის ფარგლებში.

ეს უკანასკნელიც ახალ ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც ამ ფინანსურ პერსპექტივაში, არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, პირველად 2007-2013 წლებისათვის იქნა შემოღებული. ამ ინსტრუმენტის ფარგლებში შემოთავაზებულ იქნა ქვემოთაღნიშნული პროგრამები:

- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განვითარებისათვის (ინგლ. Non - State Actors and Local Authorities in Development);
- საკვების უსაფრთხოება (ინგლ. Food Security);
- გარემო და ბუნებრივი რესურსები (ინგლ. Environment and Natural Resources);
- მიგრაცია, ლტოლვილები და ადამიანებში ინვესტირება. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე შემდეგ ასპექტებს: ჯანმრთელობა, განათლება, სქესთა თანასწორობა, კულტურა, დასაქმება და საზოგადოების ერთგვაროვნება;
- ახალგაზრდები და ბავშვები (ინგლ. Youth and Children).

6.1 არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების განვითარებისათვის (ინგლ. Non-State Actors and Local Authorities in Development)

ამ თემატური პროგრამის მიზანი და მისი რეალიზაციის საშუალება განიხილება მიმდინარე 2008 წლის წლიური პროგრამის მაგალითზე. პროგრამა განხორციელდება საგრანტო პროექტების მეშვეობით. განცხადება განაცხადების შეგროვების შესახებ გამოქვეყნდება 2008/2009 წლების მიჯნაზე. პროგრამამ უნდა მიაღწიოს სამ მთავარ მიზანს:

1. პარტნიორ ქვეყნებში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილე, დაინტერესებული, აქტიური საზოგადოების წახალისება;

³⁴ ევროგაერთიანების კანონთა კრებული (L)378 27.12.2006, გვ. 41-71;

2. ღონისძიებები, რომელთა მიზანია საზოგადოების შექმნების გაზრდა მსოფლიოში მიმდინარე განვითარების პროცესების ირგვლივ და აგრეთვე განვითარებისა და განათლების ხელშეწყობა ევროგაერთიანებაში გაწევრიანების მაძიებელ ქვეყნებში.
3. ევექტური თანამშრომლობის განმაპირობებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთიანობას და განაპირობებენ ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნებისა და წევრობის მაძიებელი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის ქსელებს შორის დიალოგის სისტემატიზაციის გაიოლებას.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები შეიძლება გახდნენ პირველი მიზნის ფარგლებში დაგეგმილი ორი ღონისძიების მონაწილენი. სხვა მიზნების ფარგლებში ხდება ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნებისა და წევრობის მაძიებელი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მართვის ორგანოების მიერ შედგენილი საგრანტო პროექტების ერთობლივი დაფინანსება. ამ პროექტების რეალიზაციისათვის გამიზნული ბიუჯეტი მთელი პროექტის ბიუჯეტთან შედარებით უმნიშვნელოა.

პირველი მიზანი, კერძოდ, ხელს უწყობს საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ზრდას, ადგილობრივი მართვის ორგანოებისა და მოქალაქეობრივი სულისკვეთების საზოგადოების იდეის ხელშეწყობი ორგანიზაციების ინსტიტუციურ განტიცებას. მას გამიზნული აქვს სიდატაკის შემცირება და დაბალანსებული რეგიონული განვითარება, საჯარო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაუმჯობესება, დეცენტრალიზაციის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაზრდა. პირველი მიზანი ხორციელდება ორი ღონისძიების მეშვეობით:

1.1. პარტნიორ ქვეყნებში ჩასატარებელი ღონისძიებები:

ღონისძიებების რეალიზაცია ხდება უშუალოდ თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში, რომლებიც იღებენ ამ მიზნით გამოყოფილ სპეციალურ ბიუჯეტს. პროგრამის ამ ნაწილს მართავს პარტნიორ ქვეყნებში მივლინებული ევროკომისიის დელეგაცია. ღონისძიებები მოიცავს მცირე პროექტებს ეკონომიკური განვითარების, ჯანმრთელობის, განათლების, სოფლის განვითარებისა და სხვა სფეროებში. პროექტის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს სამოქალაქო საზოგადოების კომპეტენციის, დემოკრატიზაციისა და საზოგადოების თანაბარი შანსების გაზრდა. პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ ქვეყნების პროექტებს, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს განვითარების პროცესში არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ჩართვის პირობები, შექმნილია არასტაბილური ვითარება, ხშირია კონფლიქტები ან საზოგადოებრივი მართვის პროცესი არაადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. უპირატესობა აგრეთვე მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც საზოგადოების იმ ნაწილის მოთხოვნებს ეხმაურება, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით ხელი არ მიუწვდება

საზოგადოებრივ მომსახურებასა და სხვა შესაძლებლობებზე ან მოკლებული არიან გადაწვეტილების პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობას. ამ ღონისძიებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი 135 მლნ. ევროს შეადგენს: აქედან 120 მლნ ევროს მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები – დაახლოებით 14 მლნ ევროს. 2008 წელს საქართველო საერთო ჯამში მიიღებს 650,000 ევროს. ეს თანხები გადანაწილდება ორ საბიუჯეტო ხაზს შორის: 500,000 ევრო მოხმარდება გრანტებს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, 150,000 ევროთი დაფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარდგენილი პროექტები. სავარაუდოა, რომ საქართველოსათვის განკუთვნილი პროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება ღონისძიების კონფერენციის დროს ევროკომისიის მიერ დეკლარირებული თანხით.³⁵

ღონისძიებათა მართვა: ამ ღონისძიების რეალიზაციაზე პასუხისმგებელია ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში. მისი ამოცანაა საქართველოში მიმდინარე წლიური პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების თემების დაზუსტება. თემები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტრატეგიულ პროგრამას და ხელს არ უნდა უშლიდეს საქართველოში რეალიზებულ სხვა პროგრამებს.

ბენეფიციარები:

პროექტის ფარგლებში განსაზღვრული დაფინანსება შეიძლება მიიღონ ნებისმიერი სახეობის არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც არაკომერციულ მოღვაწეობას ეწევიან და ადგილობრივი მართვის ორგანოებმა. ეს ორგანიზაციები განლაგებული უნდა იყვნენ პარტნიორი ქვეყნის ტერიტორიაზე (ანუ საქართველოში) ან პროექტში მონაწილე ევროგაერთიანების წევრ-ქვეყნებში. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა აჩვენონ, რომ ისინი საქართველოში ქართული კანონმდებლობის მიხედვით არიან რეგისტრირებული და რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პროგრამის თემატიკის შესაფერის მოღვაწეობას ეწევიან.³⁶

განსაკუთრებულ შემთხვევებში ევროკომისიის დელეგაციამ შეიძლება არ მოითხოვოს არასამთავრობო ორგანიზაციის ოფიციალური რეგისტრაცია. ადგილობრივი მართვის თანამეგობრობები ისარგებლებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის გამოყოფილი თანხებით. თუ პროექტი ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ არის წარმოდგენილი, მან უნდა წარმოადგინოს იმ პარტნიორი ქვეყნის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, სადაც ღონისძიება არის რეალიზებული.

შესაძლებელია შემდეგი სახეობის პროექტების წარდგენა:

³⁵ 5.3 ნაწილში წარმოდგენილი ჩამონათვალის მიხედვით.

³⁶ ევროგაერთიანების წევრი პარტნიორი ქვეყნების შემთხვევაში ეს ვადა 4 წელს მოიცავს.

ძირითადად ამ ღონისძიების ფარგლებში გაცემული გრანტების მოცულობა 20000-დან 1 მლნ ევროთი უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგრამ დაფინანსების ზუსტ სიდიდეს კონკრეტული შემთხვევისათვის ევროკომისიის დელეგაცია განსაზღვრავს. გასულ წელს ევროკომისიის დელეგაციამ საქართველოში გრანტის მინიმალური მოცულობა 100.000, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 300.000 ევროთი განსაზღვრა. ევროგაერთიანების თანხებით პროექტის დაფინანსების მაქსიმალური წილი პარტნიორი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მართვის ორგანოების შემთხვევაში ღონისძიების საერთო ბიუჯეტის სიდიდის 90%-ს შეადგენს. ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნების მიერ წარდგენილი პროექტები მხოლოდ 75%-ით დაფინანსდება. პროექტი უნდა გრძელდებოდეს სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. პროექტის გაგრძელების მაქსიმალური ვადა 60 თვეა. პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება ევროკომისიის დელეგაციის მიერაც განისაზღვროს განაცხადების შეკრების ვადის გამოცხადებისას.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტები შესაძლებელია სხვადასხვა სფეროს ეხებოდეს, მაგრამ მათი რეალიზაცია შემდეგი მიზნების მიღწევას უნდა უწყობდეს ხელს: სილატაკის შემცირებაში ბენეფიციარებისო შესაძლებლობების ზრდას, განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის განკუთვნილი ღონისძიებების გატარებას, პოლიტიკისა და მთავრობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში ცვლილებების შეტანის ხელშეწყობას, რამაც განვითარების სფეროში ბენეფიციარების ჩართვა უნდა განაპირობოს, საზოგადოების უღარიბესი ფენისათვის საზოგადოებრივი მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობის ზრდა და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ამასთან, საჭიროა, რომ ამ პროექტების მეშვეობით გაუმჯობესდეს პოლიტიკური დიალოგი და ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებრივ ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. გასულ წელს ევროკომისიის დელეგაციამ საქართველოში გამოაცხადა განაცხადთა შეკრება შემდგომი ღონისძიებების ფარგლებში:

1. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ინსტიტუციური ქმედუნარიანობის ჩამოყალიბება საქართველოში (ბიუჯეტი 300.000 ევრო)

ტექნიკური და ოპერატიული თვალსაზრისით ცოდნისა და პოტენციალის ზრდა, განსაკუთრებით გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივაში, საბიუჯეტო დაგეგმარებაში, დანახარჯების მონტორინგსა და საზოგადოებრივი მომსახურების დარგში საზოგადოებრივი მოთხოვნების ანალიზში. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გამაერთიანებელი ორგანიზაციის შექმნა ან უკვე არსებულის მხარდაჭერა. მოქალაქეთა ურთიერთქმედების გაზრდა სახელმწიფოს ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებისა და ევროპულ ქსელებთან თანამშრომლობის შედეგად.

2. არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური ქმედუნარიანობის ჩამოყალიბება საქართველოში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით (ბიუჯეტი 1 040.000 ევრო)

პროექტები, რომლებიც უპასუხებს ორგანიზაციების მოთხოვნებს, მათი მყარი და გრძელვადიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მაგ. რეგიონული ცენტრების ჩამოყალიბება, თემატური ღონისძიებები (მაგ. გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი, იურიდიული), საზოგადოების მობილიზაცია და

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის რეგიონული ქსელები. სილატაკის შემცირების სფეროში ქვემოდან გამომდინარე ინციატივების მხარდაჭერა და ადგილობრივი მართვის ორგანოებთან თანამშრომლობა (მაგ. ამ სფეროში გატარებული პოლიტიკის ფორმულირებაში შეტანილი წვლილი, მეწარმეთათვის ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრების ორგანიზება, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება).

3. არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური ქმედუნარიანობის ჩამოყალიბება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (ბიუჯეტი 600.000 ევრო: აფხაზეთი: 500.000 ევრო, სამხრეთ ოსეთი: 100.000 ევრო)

ამ რეგიონებშიც დაგეგმილია საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში გატარებული ღონისძიებების იდენტური ღონისძიებების გატარება. ამ რეგიონებს დამატებით შეეხო ღონისძიებების შეთავაზება, რომლებიც მიზნად ისახავენ ნდობისა და ადამიანთა შორის კონტაქტების აღდგენას.

მე-4 დანართში მოცემულია დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც უნდა წარმოადგინონ განაცხადთა ნაკრების შესახებ გაკეთებული განცხადების საპასუხოდ. დოკუმენტების ნუსხაში შედის – განაცხადის ფორმულარი, განაცხადი, ფორმულარი დაწესებულების შესახებ და ბიუჯეტის ფორმულარი. განცხადებები განაცხადების ნუსხის შესახებ ქვეყნდება საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ვებ-გვერდზე: www.delgeo.ec.europa.eu/en/index.html სანიშნის Calls for proposals ქვეშ.

განცხადებები ასევე ქვეყნდება ევროკომისიის ვებ-გვერდებზე. განვლილი წლის შეკრება, რომელიც 2007 წლისათვის გამოყოფილ თანხებს ეხებოდა, 2008 წლის 14 ივნისს გამოცხადდა. საქართველოში ევროკომისიის დელეგაციამ პროექტების შემოთავაზებისათვის და განცხადებაზე გამოსმაურებისათვის 30 დღე გამოყო.

12. ღონისძიებები, რომლებიც რამოდენიმე სახელმწიფოს მოიცავს

ღონისძიებების მეორე ჯგუფი, რომელიც პროგრამის პირველი მიზნის განხორციელებას ისახავს მიზნად, უნდა გატარდეს პარტნიორების მიერ მონაწილეობის მიღებისათვის შერჩეული 78-დან სულ მცირე 2 სახელმწიფოდან. ეს ღონისძიებები მოიცავს ისეთ ინტერვენციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის თემატიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფრო შედეგიან რეალიზაციას, ვიდრე ეს არსებული რეგიონული პროგრამების მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი. პროგრამის ეს ნაწილი იმართება ევროკომისიის ბრუსელში მდებარე EuropeAid-ის ოფისის მიერ. განცხადებები განაცხადების შეკრების შესახებ დროდადრო განთავსდება შემდეგ ინტერნეტ-გვერდზე:

<https://webgate.ec.europa.eu/europeaid/online-services/index.cfm?ADSSChck=1225444915146&do=publi.welcome&debpub=01%2F09%2F2008&orderby=upd&orderbyad=Desc&nbPubliList=25&page=2>

პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივ, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე საზოგადოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების დონის გაუმჯობესებას შემდეგი ღონისძიებების შედეგად: პარტნიორ ქვეყნებისა და ევროგაერთიანების წევრი-

ქვეყნების ადგილობრივი მართვის ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის საერთაშორისო დამოკიდებულების გაზრდა, ინოვაციური მომსახურებით ან რთული გარემოსათვის განკუთვნილი მომსახურების გაწევით; სტრატეგიული თანამშრომლობის განმტკიცება – განსაკუთრებით პარტნიორ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის. დეცენტრალიზაციის პროცესში და სხვა დარგებში საჯარო ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის გამარტივება. თითოეული პროექტი უნდა შეიცავდეს ინსტიტუციური ქმედუნარიანობის განმტკიცების ელემენტს. განსაკუთრებული ღონისძიებები განკუთვნილია ნაკლებად განვითარებული ან ღონისძიებებიდან გამორიცხული ქვეყნებისათვის. 1.2.–ში, ისევე როგორც 1.1.–ში დასაშვებია ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნების ერთეულების მონაწილეობა, მაგრამ მოეთხოვებათ პარტნიორ ქვეყნებში მათ შესაბამის ორგანოებთან ეფექტური თანამშრომლობა.

განაცხადების შეკრების შესახებ გაკეთებულ განცხადებაში განისაზღვრება მიმდინარე წლისათვის დაგეგმილი ინტერვენციების საერთო მიმართულება. ამ ღონისძიების ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის საერთო ბიუჯეტი 44 მლნ ევროს შეადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციებს ნება ეძლევათ მოითხოვონ 31 მლნ ევროს ოდენობის საერთო თანხა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის გამოყოფილია დაახლოებით 13 მლნ ევრო. ამის გარდა, განცხადება განაცხადების შეკრების შესახებ განსაზღვრავს გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით თანხების პროცენტულ დანაწილებას. განვლილი წლის განცხადებაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები არ იყვნენ მოხსენიებული, სამაგიეროდ, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისათვის განკუთვნილი იყო მცირე 5%-იანი წილი.

პროექტების წარდგენის წესი:

ამ ღონისძიების ფარგლებში განთავსდება ორი განცხადება განაცხადების შეკრების შესახებ: ცალ-ცალკე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის. პროექტები შეირჩევა ევროკომისიისა და EuropeAid-ის მიერ ბრუსელში, დელეგაციებთან თანამშრომლობის შედეგად. მოსალოდნელია განაცხადთა დიდი რაოდენობა, ამიტომაც გამოყენებულ იქნება შეზღუდული რაოდენობის განაცხადების სისტემა, რაც პირველ ტურში პროექტების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენას გულისხმობს. მხოლოდ არჩეული მოსაზრების ავტორებს მოეთხოვებათ პროექტის სრული ვერსიისა და ყველა დოკუმენტის წარმოდგენა.

მოსაზრებების წარმოდგენა ხდება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ ან პორტუგალიურ ენაზე სპეციალური ფორმულარის მეშვეობით. პროექტის მოსაზრებაში მითითებულ უნდა იქნეს პროექტის სრული ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა და დაფინანსებისათვის მოთხოვნილი თანხის ოდენობა. მხოლოდ შერჩევის მეორე ეტაპზე მოეთხოვებათ განაცხადის ავტორებს დაწვრილებითი ბიუჯეტის წარმოდგენა. პირველად მოსაზრებაში მითითებული ბიუჯეტის ოდენობიდან იგი არ შეიძლება 20%-ზე მეტით განსხვავდებოდეს. პროექტების შერჩევის პროცედურას დიდი დრო სჭირდება. 2007 წლის პროგრამის ფარგლებში გაკეთებული განცხადება 2007 წლის 14 დეკემბერს გამოქვეყნდა, ხოლო მოსაზრებების წარდგენის ვადა 2008 წლის 11 თებერვლამდე იყო

განსაზღვრული. 21 აპრილს გამოცხადდა კონკურსის პირველი ტურის შედეგები და გაკეთდა მოთხოვნა სრული განაცხადების წარდგენის შესახებ. სრული განაცხადების წარდგენის ვადა დადგინდა მიმდინარე წლის 10 ივნისისათვის. საბოლოო შერჩევის შედეგების შესახებ განმაცხადებლებს მიმდინარე წლის 30 სექტემბერს ეცნობათ. საგრანტო ხელშეკრულებების ხელმოწერის პროცესი 2008 წლის ბოლომდე გაგრძელდება. დანართი 5 შეიცავს ამ პროგრამისათვის განკუთვნილი განაცხადის ფორმულარს.

პირველი ღონისძიების მსგავსად, ევროგაერთიანებიდან მიმდინარე დაფინანსება პარტნიორი ქვეყნების ერთეულების შემთხვევაში პროექტის საერთო ბიუჯეტის 90%-ს შეადგენს, ხოლო ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნების ერთეულებისათვის – 75%-ს. გრანტის მინიმალური სიდიდეა 500.000 ევრო, ხოლო მაქსიმალური – 4 მლნ ევრო. პროექტის ხანგრძლივობა 24-დან 60 თვემდე ვადაში უნდა თავსდებოდეს.

მოსალოდნელი შედეგები:

ივარაუდება, რომ პროექტები განაპირობებენ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლის ზრდასა და თანამშრომლობის ქსელის გაფართოებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის ფაქტორის გაზრდასა და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მმართველობას შორის ღონისძიებათა გაუმჯობესებულ კოორდინაციას ჩრდილო-სამხრეთ და სამხრეთ-სამხრეთ ღერძებზე, ადგილობრივ მოქალაქეთა და ადგილობრივი მმართველობის მონაწილეობის გაზრდას რეგიონული და გლობალური განვითარების პროცესებსა და დიალოგში, აგრეთვე წარმატებული მეთოდის გაცვლასა და მათ დანერგვას სახელმწიფოსა და ადგილობრივ დონეზე.

არჩეული თემატური პროგრამების განხილვა

თემატური პროგრამები იძლევა მოქმედების ფართო სპექტრს. დაფინანსება მიმართულია უმთავრესად არასამთავრობო ორგანიზაციებისკენ, თუმცა მონაწილეობის წინაპირობად დასახელებულია მოქმედება non-profit წესით. ამიტომ გრანტების ბენეფიციენტები შეიძლება იყვნენ საჯარო ადმინისტრაციის ერთეულები, რომლებიც მოქმედებენ გარკვეული პროგრამების თემებით მოცულ დარგებში. ყურადღების მიპყრობა ღირს ასევე ინსტრუმენტზე Investing in People. 2007 წელს დაფინანსებული იყო კულტურული ქმედებები ადგილობრივ საზოგადოებაში. 2007-2010 წლებში განხილულ იქნება ჯანმრთელობასთან, სქესთა შორის თანასწორობასა და ბავშვებისა და ახალგაზრდების წამახალისებელ მოქმედებებთან დაკავშირებული თემა. განაცხადების მიღება მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში ევროკომისიის, EuropeAid ბიუროს მიერ. პროექტების შეკრების პრინციპები და მათი განხორციელება ძალიან დაახლოვებულია ზემოხსენებულ პროგრამებთან. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ვებ-გვერდზე:

<http://europa.eu/scadplus/leg/en/ivb/r12547.htm>

არსებულ პირობებში, როცა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა კონფლიქტის შედეგად დევნილ პირთა რაოდენობა, ზოგიერთი პრობლემა, მათ შორის, სამუშაო ბაზრის ინტეგრაცია და ემიგრანტთა სოციალური

პრობლემები, შესაძლებელია პროგრამაში Migration and Asylum წარდგენილ პროექტებში ჩამოყალიბება. ამ მოქმედების რეალიზაციის შესახებ განაცხადების მიღებასთან დაკავშირებით განცხადებების გამოქვეყნება როგორც ყოველთვის ყოველი წლის დეკემბერში ხდება. პროექტის შემოთავაზების წარდგენის ვადა 30 დღეა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ვებ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/europeaid/where/worldwide/migration-asylum/index_en.htm

ან დაუკავშირდეთ პროგრამა CONCORD Secretariat aisbl დამწერგავ ორგანიზაციას ელ-ფორტა: secretariat@concordeurope.org

6.2 დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპის ინსტრუმენტი (ინგლ. European Instrument for Democracy and Human Rights)-EIDHR

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტი 2007-2013 წლების ფინანსური პერსპექტივის დადგენილი პროგრამების ახალ ჯგუფს მიეკუთვნება. იგი პარტნიორ ქვეყნებში ევროკომისიის დელეგაციის მიერ მართული არცთუ დიდი მოცულობის საგრანტო პროგრამაა. ევროკომისიის დელეგაციის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებულია ინფორმაციები განაცხადების მიღების შესახებ. საქართველოსთვის გათვალისწინებული თანხის რაოდენობა 900.000 ევროს აღწევდა. მიკროპროექტის დაფინანსება, რომელიც მთლიანი ბიუჯეტის არა უმეტეს 80%-ს შეადგენს, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიპოვონ. თვითმმართველობებს შეუძლიათ ამ პროექტის ფარგლებში რეალიზებული პროექტის მონიტორინგი და სხვა მათთვის ხელმისაწვდომი წყაროების გამოყენებით დამატებითი მოქმედებების დაწყება ან პროექტიდან მიღებული შედეგის გამოყენება.

6.3 თანამეგობრობის პროგრამებში მონაწილეობის პრინციპები

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია მეზობელი ქვეყნების ბენეფიციარებისათვის თანდათან შესაძლებელი გახადოს ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობა. ამჟამად ამ იდეას საკმაოდ კარგად ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, **7 ძირითადი პროგრამა**. იგი ევროკავშირის დონეზე დანერგილი ნამდვილად ერთ-ერთი უდიდესი პროგრამაა, რომელსაც მოცემულ ფინანსურ პერსპექტივაში 50 მლდ. ევროთი გადაჭარბებული ბიუჯეტი აქვს. 7 ძირითადი პროგრამის მიზანია ევროპული კვლევითი სივრცის შექმნა და ევროპის გადაქცევა ცოდნაზე დამყარებულ ყველაზე თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკად. დაფინანსებულია სხვადასხვა ტიპის პროექტები: სამეცნიერო კვლევები, ინოვაციური ტექნოლოგიების აღმოჩენა, მეცნიერთა გაცვლითი პროგრამები. 7 ძირითადი პროგრამა გამოირჩევა 4 სამოქმედო პაკეტით: თანამშრომლობა (მათ შორის, მაგ. ტექნოლოგიური პლატფორმები, ეროვნული კვლევითი პროგრამები და ა.შ.); იდეები (მაგ. სამეცნიერო პროგრამების დაფინანსება); ხალხი (მაგ. ევროპულ საზოგადოებებს შორის მეცნიერული პოტენციალის გაზრდა) და შესაძლებლობები (ამ პაკეტის ფარგლებში განსაზღვრულია დაფინანსება კვლევითი ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო საწარმოების

კვლევებისთვის, ცოდნის სექტორების – მეცნიერულ კვლევებსა და მაღალ ტექნოლოგიაზე დამყარებული სეგმენტების ხელშეწყობისათვის, ეკონომიკურად სუსტი რეგიონების კვლევითი პოტენციალის ხელშეწყობა, რეგიონებში ან საერთაშორისო თანამშრომლობაში კვლევითი პოლიტიკის განვითარება). პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ასევე მოწვეული არიან მეზობელი ქვეყნების ბენეფიციარები, თუკი პროექტი ევროპულ ხასიათს ატარებს. პოტენციური ბენეფიციარების რიგში შეიძლება იყვნენ არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არამედ საამქროები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, საამქროების ასოციაციები და ადგილობრივი ან რეგიონული თვითმმართველობები. ქართველმა სუბიექტებმა უკვე მონაწილეობა მიიღეს 4 პროექტში: 2 პროგრამის წინა ედიციის სახსრებიდან დაფინანსებულ და 2 ამჟამინდელის ფარგლებში. დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ შეგიძლიათ მოიპოვოთ ვებ-გვერდზე:

http://cordis.europa.eu/fp7/home_en.html

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ეროვნულ საკონტაქტო პუნქტს, რომელსაც საქართველოში კურირებს:

დოქტორი თეოდორე დოდოძე (Georgian National Science Foundation)

68 დ.უზნაძის ქ.

0102 თბილისი

ტელ: +995-32-910-262

ფაქსი: +995-32-9956-205

ელ-ფორტა: tedodol@yahoo.com

<http://www.gnsf.ge>

იმის გათვალისწინებით, რომ ENPI ინსტრუმენტის ფარგლებში ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების რეგიონებს შორის თანამშრომლობის შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს, იქნებ ღირდეს ევროკავშირის Interreg-ის ტიპის პროგრამებში ქართველი პარტნიორების მონაწილეობის საკითხის განხილვა. Interreg ძირითადად ევროკავშირის თვითმმართველობებისთვის არის ხელმისაწვდომი, თუმცა, არსებობს პროექტში ევროკავშირის გარედან პარტნიორის ჩართვის შესაძლებლობები. ამგვარი პარტნიორების მონაწილეობასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეიძლება შეადგინოს პროექტის მთლიანის ბიუჯეტის 10%, ხოლო პარტნიორის მონაწილეობა უნდა დასაბუთდეს. პროგრამა Interreg იძლევა „რბილი“ პროექტების – რეგიონული განვითარების მრავალ სხვადასხვა ასპექტში გამოცდილების გაცვლის განხორციელების საშუალებას.

წყაროების ჩამონათვალი/ List of Sources:

Documents:

1. Partnership and Co-operation Agreement , EU-Beneficiary Country and the European Neighbourhood Policy (ENP)
2. EU/ Georgia Action Plan
3. Regulation (EC) No 1638/2006 of the European Parliament and of the Council of 24 October 2006 laying down general provisions establishing a European Neighbourhood and Partnership Instrument;
4. Regulation (EC) No 2110/2005 of the European Parliament and of the Council of 14 December 2005 on access to Community external assistance;
5. Regulation (EC) N° 1905/2006 of the European Parliament and of the Council laying down general provisions establishing a Financing instrument for development cooperation;
6. Regulation (EC) N° 1889/2006 of the EP and of the Council of the European Parliament and of the Council laying down general provisions establishing a Financing instrument for the promotion of democracy and human rights worldwide
7. European Neighbourhood and Partnership Instrument Georgia Country Strategy Paper 2007-2013;
8. European Neighbourhood and Partnership Instrument Georgia National Indicative Plan 2007-2010;
9. Memorandum of the ENPI Management Committee, Annex 1, Annual Action Programme covering the programming document National Indicative Programme 2007-2010 for the ENPI for Georgia for 2007;
10. European Neighbourhood and Partnership Instrument, ENPI Eastern Regional Programme, Strategy paper 2007-2013;
11. European Neighbourhood and Partnership Instrument, ENPI Eastern Regional Indicative Programme 2007-2010;
12. Memorandum to the ENPI Committee Annual Action Programme covering the Regional Strategy Paper 2007-2013 and Regional Indicative Program 2007-2013 for the ENPI East for 2007;
13. European Neighbourhood and Partnership Instrument, ENPI Interregional Programme, Strategy Paper 2007-2013 & Indicative Programme 2007-2010;
14. TAIEX in the Neighbouring Countries & Russia, European Commission

15. Boosting Twinning Co-operation in the Neighbouring Countries, European Commission;
16. 2007 Activity Report Twinning and TAIEX within the ENPI, European Commission, EuropeAid Co-operation Office;
17. Institutional Twinning Thesaurus, European Commission, EuropeAid Co-operation Office;
18. Twinning in the Neighbouring Countries Key Facts and Figures, Part II, 8.10,2008;
19. Twinning news 12, European Neighbourhood Twinning Projects pipeline for October-November-December 2008;
20. Common Twinning Manual;
21. Practical Guide to contract procedures for EC external actions;
22. EU assistance fact sheet: Georgia;
23. Black Sea Joint Operational Programme;
24. Black Sea Joint Operational Programme Fiche;
25. Europe's World, Autumn 2008/ no 10/ Knaus Gerald "Georgia's future";
26. Action Fiche for ENPI Region/Urban Development; AIDCO/ (2008) D/7217;
27. German Foundation for World Population "Tips and Tricks , European edition, How to Access European Community Development Co-operation Funds, 7th Edition";
28. Working Papers of the Information Office of the Wielkopolska Region, DW-IV-2-0725/13/07, Gębski Szymon;
29. Annual Report 2008 on the European Community's development and external assistance policies and their implementation in 2007;
30. 2008 Annual Action Programme for Non-State Actors and Local Authorities in Development
31. Non-State Actors and Local Authorities in Development, Actions in partner countries, Georgia, Guidelines for grant applicants, Open call for proposals 2007;
32. Non-State Actors and Local Authorities in Development, Actions in partner countries (Multi Country), Restricted Call for proposals 2007, Guidelines for grant applicants
33. European Instrument for Democracy and Human Rights (EIDHR), Guidelines for grant applicants

34. Report on Erasmus Mundus Programme (2009 – 2013), Marielle de Sarnez (ALDE,FR)

35. Wielkopolski Program Operacyjny Rozwoju Regionalnego;

Websites:

1. www.delgeo.ec.europa.eu/en/index.html
2. http://ec.europa.eu/world/enp/documents_en.htm
3. http://ec.europa.eu/world/enp/funding_en.htm
4. www.msz.gov.pl
5. www.tempus.org.pl
6. www.taix.ec.europa.eu
7. <http://www.sigmaweb.org/>
8. http://ec.europa.eu/europeaid/where/neighbourhood/overview/twinning_en.htm
9. <https://webgate.ec.europa.eu/europeaid/online-services/index.cfm?do=publi.welcome>
10. www.blacksea-cbc.net
11. http://cordis.europa.eu/fp7/home_en.html
12. „Partnerstwo w projektach transgranicznych”, M. Rulińska, prezentacja multimedialna, dostępna na:
<http://www.interreg3a.dolnyslask.pl/pliki/szkolenia/PartnerstwoTransgraniczne1.pdf>

APPENDIX 1: ENPI CBC PROGRAMMES JMA contact details

Programme	JMA	Address	Contact Person	Email
Kolarctic	Regional Council of Lapland	Hallituskatu 20B, 96100 Rovaniemi , Finland	Päivi Ekdahl	paivi.ekdahl@lapinliitto.fi www.kolarcticenpi.info
Karelia/Russia	Council of Oulu Region	Kauppurienkatu 8 A, 90100 Oulu, Finland	Marko Ruokangas	marko.ruokangas@euregiokarelia.fi www.kareliaenpi.eu
South-East Finland/Russia	Regional Council of South Karelia	Raatimiehenkatu 18, 53100 Lappeenranta, Finland	Paivi Ilves	paivi.ilves@ekarjala.fi www.southeastfinrusnpi.fi
Estonia/Latvia/Russia	Ministry of Regional Development and Local Governments	Lacplesa street 27, 1011 Riga, Latvia	Arina Andreicika	arina.andreicika@raplm.gov.lv No website
Latvia/Lithuania Belarus	Ministry of Interior of the Republic of Lithuania Regional Policy Department	Sventaragio , 01510 Vilnius, Lithuania	Ignotas Salavejus	Ignotas.Salavejus@vrm.lt No website
Lithuania/Poland/Russia (Kaliningrad)	Ministry of Regional Development Territorial Cooperation Department	ul. Wspólna 2/4, 00-926 Warsaw, Poland	Andrzej Gawron	Andrzej.Gawron@mrr.gov.pl www.interreg.gov.pl/20072013/instrument+sasiedztwa/pl-lt-ru/
Poland/Belarus Ukraine	Ministry of Regional Development	ul. Wspólna 2/4, 00926, Warsaw, Poland	Justyna Jakubowska	Justyna.Jakubowska@mrr.gov.pl www.interreg.gov.pl/20072013/instrument+sasiedztwa/pl-bl-uk/
Hungary/Slovakia Ukraine/Romania	National Development Agency		Florian Szaloki	florian.szaloki@meh.hu www.vati.hu

Romania/Moldova Ukraine	Ministry of Development, Public Works and Housing	Bucharest, Roumania	Daniela Popescu	Daniela.Popescu@dr.mie.ro http://www.mdlpl.ro/_documente/state_nembre/program_ro_uc_mo.htm
Spain/Morocco North				No website
CBC Atlantic Programme				No website
Italy/Tunisia	Ministry of Foreign Affairs	Piazzale della Farnesina, 1 - Rome, Italy	Raffaele Langella	raffaele.langella@esteri.it No website
Baltic Sea Region	Investitionsbank Schleswig- Holstein Managing Authority Baltic Sea Region Programme 2007- 2013	Fleethoern 29-31, 24103 Kiel, Germany	Susann Henning	susann.henning@ib-sh.de eu.baltic.net.
Black Sea Programme	Ministry of Development, Public Works and Housing		Iulia Hertzog	Iulia.Hertzog@mdlpl.ro www.mdlpl.ro/index.php?p=1&lang=en
Mediterranean Sea	Region Autonome de la Sardaigne	Ufficio di Gabinetto della Presidenza , Viale Trento 69, 09123 Cagliari	Anna Catte	acatte@regione.sardegna.it www.regione.sardegna.it/speciali/enpicbc/fr/

APPENDIX 2: TAIEX APPLICATION FORMS

Application form for TAIEX Expert Mission

Project title: Expert Mission on

N.B.: only type-written and fully completed applications will be accepted

Beneficiary country:

Beneficiary Ministry/Service:

Date of submission:

Objective of the Expert Mission:

.....

